ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ჯარისკაცებმა ალექსანდრე ჯანიაშვილმა, დავით კვინინაძემ და გიორგი მუსელიანმა 2 ბავშვი სიკვდილს გადაარჩინეს



გვ.7

რა მოხდა რუსთავში

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




სამშაბათი, 28 მაისი, 2019 №124 (8078) ფასი: 60 თეთრი

# ივანიშვილი ხელისუფლებაში დარჩენას 2024 წლამდე აპირებს?



გვ.3

„მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ შემდეგი არჩევნებიც მოვიგოთ“

## „ოცნებაში“ მარტო ყოფილი ნაცები დარჩნენ“



გვ.2

„ხელისუფლება ხალხმა უნდა გაუშვას“

მეგი გოცირიძე: „სასამართლომ საჩხერეში სტაფილოს და თაიგულის ტარება ამიკრძალა“

## პაატა ზაქარეიშვილი: „დღეს ხელისუფლებას ერთი მიზანი აქვს, ოპოზიცია დაშალოს“



გვ.4

ზუგდიდში რომ სანდრას გაემარჯვა, ზუგდიდი ოპოზიციის ქალაქად გადაიქცეოდა

## „ჭიათურაში პროტესტი შეწყდა“



გვ.3

## გედევან ფოფხაძე: „ვიბრძოლებთ უსამართლობის წინააღმდეგ“



გვ.4

„ოცნებას“ კიდევ ბევრი ადამიანი დატოვებს“

## ვახტანგ მაისაია: „აზერბაიჯანულ მხარეს უნდა დავუმტკიცოთ, რომ დავითგარეჯი ჩვენი ტერიტორიაა“



გვ.5

## სამართალი

გვ.7



იაგო ნებიერიძეს 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა



ზესტაფონში დაშავებული რკინიგზელი მ.ზ. საავადმყოფოში გარდაიცვალა



გურამიშვილზე, კინო საქართველოსთან, სატვირთო მანქანა „სუფთა სახლში“ შევარდა

## ეკონომიკა

გვ.6

ლევან კობერიძე: „მე ვიფიქრებდი იმაზე, უნდა იყოს თუ არა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე“



საპენსიო რეფორმის შედეგად ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 3–4%–ით დაჩქარდება



საგანელიძე ქობულიაზე — „ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ მინახავს, მაგრამ მინისტრის პოზიციაზე მსგავსი უპასუხისმგებლო ადამიანი, არ მინახავს“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ახალი ათონის მონასტრის დაკეტვამ ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკა დააზიანა

7 ლაგოდეხის ნაკრძალში სკოლა ალბიონის მე-11 კლასელი სოფია ნიკოლეიშვილი დაილუპა

8 ევროპარლამენტის არჩევნებში პუტინის მეგობრებმა ვერ გაიმარჯვეს

7 მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

# „ოცნებაში“ მარტო ყოფილი ნაცები დარჩნენ“

## „ხელისუფლება ხალხმა უნდა გაუშვას“

შორენა მარსაგიშვილი

რა სქემით აყალბებს არჩევნებს მმართველი პარტია, რატომ უნდა გააქტიურდეს საზოგადოება, რატომ თქვა თბილისის მერიამ ერთ-ერთი ქუჩისთვის გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭებაზე უარი, ვის იმედზე დარჩა „ოცნება“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი, სამოქალაქო აქტივისტი მეგი გოცირიძე ესაუბრება.



**მეგი გოცირიძე:**

– კინაღამ გული გამისკდა, როცა ვნახე, თუ როგორ იბარებდა აღლუმს მოღალატე სალომე ზურაბიშვილი. იმ სამხედროებისგან იბარებდა აღლუმს, რომლებსაც ომის დაწყებაში დასდო ბრალი. მისი სულელური წიგნის გამო ქართველი სამხედროები შეიძლება ჰააგამ გაასამართლოს.

გიორგი ანწუხელიძე არის საქართველოს ეროვნული გმირი. სალომე ზურაბიშვილის განცხადებების გამო, შეიძლება გიორგი და კიდევ ბევრი მისი თანამებრძოლი გაასამართლოს საერთაშორისო სასამართლომ.

იმედი მაქვს, რომ სანამ ეს მოღალატეობრივი გეგმა მოვა სისრულეში, ეს ხელისუფლება აღმოჩნდება განსასჯელის სკამზე.

***– გიორგი ანწუხელიძე ახსენეთ და თქვენ ითხოვდით, რომ თბილისში, ფოსტის ქუჩას დარქმეოდა მისი სახელი.***

– სიცოცხლის ბოლო დღეები გიორგიმ ამ ქუჩაზე გაატარა, აქ ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. ამიტომაც შევადგინეთ პეტიცია, რომ ფოსტის ქუჩისთვის მისი სახელი დაერქმიათ. როგორც კი ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ, მერია ადგა და ფოსტის ქუჩა კვეზერელის ქუჩად აქცია.

კვეზერელი ძალიან კარგი ექიმი იყო, ძალიან ბევრი ბავშვი ჰყავს გადარჩენილი, მაგრამ მისი ღვაწლი და გიორგი ანწუხელიძის თავდადება ერთმანეთისგან განსხვავდება.

**მეგი გოცირიძე: „სასამართლომ საჩხერეში სტაფილოს და თაიგულის ტარება ამიკრძალა“**



სიმართლე გითხრათ, არ გამკვირვებია, ასე რომ მოიქცნენ, როდის იყო, მონები გმირებს სცემდნენ პატივს. თან არც ის დაგავიწყდეთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება რუსეთის მონაა, გიორგი კი რუსებმა მოკლეს წამებით.

ქუჩისთვის მისი სახელის დარქმევას ვინ ჩივის, გიორგის გამზრდელი მამიდა სოციალურად დაუცველთა სიაში იყო და იქიდანაც კი ამოიღეს.

***– რატომ ამოიღეს და როდის მოხდა ეს ამბავი?***

– რამდენიმე წლის წინ. რატომ ამოიღეს და ალბათ იმიტომ, რომ სახლში ერთი ქათამი, ან კბილის ჯაგრისი უპოვეს. ეს ხომ საშინელებაა, მაგრამ ცალკე უბედურებაა ის, რომ გიორგის მამიდა სოციალურად დაუცველი იყო.

ასევე მძიმე დღეში ცხოვრობენ სამშობლოსთვის დაღუპული სხვა გმირების ოჯახებიც. რამდენიმეს შვილებს სახლიც კი არა აქვთ. სამაგიეროდ, „ოცნების“ ჩინოსნები არიან კარგად და მილიონებს იპარავენ.

მაგათი ვარსკვლავი სოსო გოგაშვილი 2013 წლამდე სოციალურად დაუცველი იყო, დღეისთვის კი ის ოფიციალური მილიონერია.

***– მაგარი ყოფილა „ოცნების“ ხელისუფლება. თქვენ დროს ადამიანი სოციალურად დაუცველი იყო, ამათ დროს კი მილიონერი გახდა.***

– რატომ არ გახდებოდა მილიონერი, გოგაშვილიც და სხვა მეოცნებეებიც ბიუჯეტის ძუძუთი იკვებებიან. მე ის მიკვირს, მილიარდერები როგორ არ გახდნენ. ხალხისთვის პირიდან ლუკმის გამოცლა არავის შერჩენია და არც ამათ შერჩებათ.

არ მესმის, როგორ არის მშვიდად ერი, როცა ბიძინა ივანიშვილი მიადგა და ტყეებს ანადგურებს. ქვეყანას ფაქტიურად ფილტვების გარეშე ტოვებს. არა მგონია, ამას მარტო იმიტომ აკეთებდეს, რომ ამ ხეების ადგილზე რაღაცებს აშენებს. ტყეების გარეშე სუნთქვა და არსებობა შეუძლებელია. პუტინის მონა ივანიშვილს საქართველოს განადგურება აქვს დავალებული და ამ მისიას წარმატებით ასრულებს.

ხელისუფლებაში მოსვლამდე და მის შემდეგაც ქოცები გაჰკიოდნენ, რომ სანდრა ხალხს თირკმელებს აცლის და ყიდისო. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მტკიცებულება არა აქვთ, მაინც ყვირიან, სამაგიეროდ ხმას არ იღებენ, ბიძინამ მთელ ქვეყანას რომ გადაუკეტა ფილტვები.

ჯერ ისტორია გაგვინადგურა, საყდრისი აგვიფეთქა და ახლა დავითგარეჯს ასხვისებს. ამის პარალელურად ფიზიკურადაც გვანადგურებს. გავიძახით, რუსეთში შევყავართო. რად გვინდა შეყვანა, რუსეთი აქ არის უკვე შემოსული.

მინისტრებად რუსეთის მოქალაქეები არიან, პრეზიდენტიც მოსკოვმა დაგვისვა, ივანიშვილი კი პუტინის პირდაპირი წარმომადგენელია. მეტი მტკიცებულება რაღა გინდათ იმის სათქმელად, რომ საქართველო რუსეთის ნაწილი გახდა.

დღეს საქართველო სახელმწიფო აღარ არის და ჩვენ ის გვიკვირს, ნაციონალებმა არჩევნები როგორ წააგესო.

***– „ოცნება“ ამბობს, რომ ხელისუფლება კიდევ ბევრ არჩევნებს მოიგებს.***

– მოგებით არც შუალედური არჩევნები მოუგიათ, მაგრამ მოიპარეს. არჩევნების წინ ზუგდიდში ათასობით ადამიანი ჩაწერეს, ყველა საჯარო მოხელე და ყველა რაიონის პოლიციის უფროსი იქ იყო, ყველაფერი იკადრეს, მაგრამ 54%-ზე მეტი მაინც ვერ აიღეს.

ადრე თუ გვიან, „ოცნება“ შეიცვლება და სხვა დანაშაულებთან ერთად ზუგდიდში 12.000 ადამიანის გადაწერის გამოც აგებენ პასუხს. ხალხის ზუგდიდში გადაწერის ოპერაციას თამარ ჟვანია და თეა წულუკიანი ხელმძღვანელობდნენ. თეა წულუკიანი ბეჭდავს ყალბ პირადობის მოწმობებს.

როგორ შეიძლება არჩევნების მოგებაზე ილაპარაკო, როცა ისიც კი არ ვიცით, რამდენი ამომრჩეველია საქართველოში. რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, აღწერა არ ჩატარებულა. არც ჩაატარებენ და ამის წყალობით კვლავ გააყალბებენ არჩევნებს.

***– თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შეეგუეთ არჩევნებში მუდმივ დამარცხებას.***

– დამარცხებულები ეგენი არიან. მთელ სახელისუფლებო რესურსს რომ გამოიყენებ და მხოლოდ 54%-ს აიღებ, ეს უკვე მარცხია. რაც შეეხება არჩევნებს, საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის მერე აღარ ჩატარებულა. ივანიშვილმა არჩევნები უბრალოდ მოიპარა, გააქრო. დაიმახსოვრეთ ისიც, რომ საქართველოში არჩევნები არჩევნებამდე ყალბდება. არჩევნებზე კი არასდროს არაფერს ვთმობთ.

ახლა ამ ბრძოლაში ეკა ბესელიაც შემოგვიერთდება, რომელმაც თავისი პარტია შექმნა და სამართლიანობისთვის აპირებს ბრძოლას.

***– მასთან თანამშრომლობას აპირებთ?***

– როგორ უნდა ვითანამშრომლო ბესელიასთან. ჩატაევი, სხვა ტერორისტები და სამშობლოს მოღალატეები გამოუშვა ციხიდან.

ცოტნე ბაკურიამ, რომელიც ახლა ამერიკაშია, რამდენიმე წლის წინ ღია ეთერში დარეკა და თქვა, ბესელიამ გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ პოლიტდევნილთა სიაში ჩაწერა შემომთავაზაო.

ამ შეთავაზების პასუხად ბაკურიას უთქვამს, არანაირი პოლიტდევნილი არ ვარ, საქართველოში ნებისმიერ დროს შემიძლია დაბრუნებაო.

***– ბესელია ახსენეთ და თქვენი აზრით, მისი პარტია მართლა ოპოზიციური ძალაა თუ მის უკან ივანიშვილი დგას?***

– პირადად ივანიშვილი არ ვიცი, მაგრამ ამ ქალის პარტიის უკან რაღაც ძალა დგას.

***– ეს ძალა „ოცნებასთან“ ასოცირდება?***

– რა თქმა უნდა. ოღონდ თავად „ოცნებაშიც“ არ იციან, ვინ საით არის. ოლიგარქის ბანაკში საშინელი დაპირისპირებაა. პრაქტიკულად ივანიშვილთან აღარავინ აღარ დარჩა.

კარგად შევისწავლე მის გვერდში დარჩენილი ხალხი და საინტერესო დასკვნამდე მივედი, ბიძინასთან მარტო ყოფილი ნაცები დარჩნენ.

***– თავად ივანიშვილიც ყოფილი ნაცი არ არის?***

– რა თქმა უნდა. იმ სისხლიან 9 წელზე რომ ლაპარაკობენ ბევრს, ის 9 წელი ივანიშვილი ნაციონალების გვერდით იდგა. ჩვენ თუ ვსვამდით სისხლს, ეგაც დალევდა, თან ბევრად მეტს.

***– ბევრად მეტს რატომ?***

– იმიტომ, რომ ეგ იყო ჩვენი დამფინანსებელი და სისხლის ყველაზე დიდი წილი მას შეხვდებოდა. ახლა ივანიშვილი ყოფილი ნაციონალების და მურუსიძის ამარაა დარჩენილი.

***– ეგ უკანასკნელიც ხომ თქვენი კაცი იყო?***

– მასთან დაკავშირებით მე მაქვს ჩემი მოსაზრება. მურუსიძე ხშირად ამბობს, რომ ჩემთვის ნაციონალებს არასდროს უთქვამთ რა უნდა გამეკეთებინაო. ეს ადამიანი ამ შემთხვევაში სიმართლეს ამბობს

***– მურუსიძის არავის სჯერა და თქვენ რატომ დაიჯერეთ?***

– მე უშუალოდ მურუსიძის კი არ მჯერა, არამედ მჯერა იმის, რომ მისთვის ნაციონალებს არაფერი დაუვალებიათ.

ეს ადამიანი ჩვენმა საზოგადოებამ გირგვლიანის საქმით გაიცნო. მთელი ეს წლები გვესმოდა, რომ მურუსიძემ გირგვლიანის საქმეზე ის განაჩენი გამოიტანა, რაც ნაციონალებს უნდოდათო.

მეშვიდე წელია ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“ და ეს საქმე თავიდან არ გამოუძიებიათ. მურუსიძის გადაწყვეტილება არ გადაუხედიათ. მეტსაც გეტყვით, დღემდე არ ვიცით, რა ვითარებაში მოკლეს სანდრო გირგვლიანი.

დედამისი, ირინა ენუქიძე გაიძახოდა, რომ ოლეგ მელნიკოვი იყო მისი შვილის მკვლელი. არ გაინტერესებთ, სად არის დღეს მელნიკოვი? სად არის და ქოცაქტივისტია.

სანდრო გირგვლიანი 13 წლის წინ მოკლეს. მის მკვლელობის საქმეს გადაჰყვა რეალურად ნაციონალური მოძრაობა. ახლა მე ვკითხულობ, ვინ მოკლა სანდრო გირგვლიანი. გირგვლიანის სისხლზე მოსულ „ოცნებას“ ვეკითხები, რატომ არ არიან დასჯილი იმ ახალგაზრდა ბიჭის მკვლელები.

***– ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ნაციონალები სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯას მოითხოვდით. და თქვენგან ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ მურუსიძეზე დადებითს იტყოდით.***

– მურუსიძეზე დადებითს არასდროს ვიტყვი. უბრალოდ ის დავიჯერე, რომ მისთვის გირგვლიანის საქმეზე ნაციონალების ხელისუფლებას მითითებები არ მიუცია.

როგორ შეიძლება მე იმ სასამართლოს წარმომადგენელზე ვთქვა კარგი, რომელმა სასამართლომაც სტაფილოს და თაიგულის ტარება ამიკრძალა.

***– რას ნიშნავს თაიგულის და სტაფილოს ტარება აგიკრძალათ?***

– რას და აკრძალვას. სასამართლომ ოფიციალურად ამიკრძალა, რომ თაიგული და სტაფილო ვატარო.

***– ხუმრობთ?***

– როგორ გეკადრებათ. თუ არ ვცდები 2 წლის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილი ცუდად იყო. მაშინ მე ჩემს თანამოაზრეებთან ერთად საჩხერეში წავედი და მისი მშობლიური ჭორვილაც მოვინახულე.

ივანიშვილის სახლის ჭიშკართან თაიგული და სტაფილო დავტოვე. ჭორვილადან საჩხერეში შევიარეთ, ბაზარში უნდა დაგვერიგებინა გაზეთები. გოგოები მანქანაში დავტოვე და ბაზარში მარტო წავედი.

უკან დაბრუნებულს მანქანასთან ასეთი სურათი დამხვდა – უამრავი ზონდერი დასეოდა ჩემს თანამოაზრეებს. ეგრევე ჩავერიე დაპირისპირებაში და პოლიციაც გამოვიძახე. იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეები დაეკავებინათ, მე დამაკავეს. ამ ინციდენტზე „ახალი თაობაც“ წერდა.

პოლიციამ სასამართლოში მიმიყვანა და იქ მოსამართლე ყიფიანმა გამოიტანა განაჩენი. მან ამიკრძალა სტაფილოს და ყვავილების თაიგულის ტარება. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ განაჩენის გამოსატანად 40 წუთი თათბირობდა.

***– მას შემდეგ სტაფილოს და თაიგულს აღარ კიდებთ ხელს?***

– ასე მიცნობთ? მოსამართლე ყიფიანმა სტაფილოს და თაიგულის ტარება საჩხერის ტერიტორიაზე ამიკრძალა. მეორე დღესვე სტაფილოთ ჩავედი საჩხერეში, მაგრამ ჩემი დაკავება ვერავინ გაბედა.

რომელიმე პარტიის წევრი რომ ვყოფილიყავი, შეიძლება ეს არ გამეკეთებინა, მაგრამ მე ვარ სამოქალაქო აქტივისტი და თავისუფლად ვმოქმედებ.

***– ნაციონალი არ ხართ?***

– პარტიის წევრი არა, მაგრამ მათი აქტიური მხარდამჭერი ვარ. მიმაჩნია, რომ ახლა სამოქალაქო აქტივისტების გააქტიურების დროა. ჩვენ უნდა ამოვიღოთ ხმა და ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს ხელისუფლება.

ჩვენს სამეზობლოში ხომ ხედავთ რა ხდება? ერთმა სამოქალაქო აქტივისტმა – პაშინიანმა საოცრება გააკეთა. საქართველოშიც შეიძლება იგივეს გაკეთება. თან ამისთვის სათანადო ნიადაგი უკვე შექმნილია. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ აქ მოვლენები პაშინიანის სცენარით განვითარდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ჭიათურაში პროტესტი შეწყდა“

იაგო ნაცვლიშვილი

ჭიათურელი მაღაროელების პროტესტი გრძელდება, მაღაროელების მოთხოვნები უცვლელია, მათი ნაწილი შიმშილობს, რამდენიმე კი პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავს და პირი აქვთ ამოკერილი.

რა ბერკეტები არსებობს ამ ვითარებაში, რამდენად საკმარისად არის ჩართული ხელისუფლება და ხომ არ არის რისკი, რომ ქვეყანა სოციალურმა პროტესტმა მოიცვას? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე **თამაზ დოლაბერიძე** საუბრობს:

***– რა ვითარებაა ჭიათურაში? გაავრცელა კომპანიამ განცხადება და რამდენად შეესაბამება ეს განცხადება რეალობას?***

– ამ შეთავაზებას კომპანია დიდი ხანია აკეთებს. გაფიცვის დაწყებიდან სადღაც მე-7 თუ მე-8 დღეს გააკეთა ეს შეთავაზება. უბრალოდ აქამდე გაფიცულები არ შედიოდნენ მოლაპარაკებებში. ამბობდნენ, ჩვენ ჩვენი პირობა ვთქვით და ადმინისტრაცია გამოვიდეს და აქ გვითხრას, ხალხში, რას და როგორ აპირებსო. ამის მერე ქალაქის ახლად არჩეული მერი ცდილობდა შუამავლობა გაეწია. კომპანიამ რა შეთავაზებაც გაუკეთა გაფიცულ მაღაროელებს, ეს ახალი არის. ის ამბობს, რომ ხელფასის 15%-ს მოუმატებს ახლა, შემდეგ, 1 თვის განმავლობაში ჩატარდება რეორგანიზაციები, რომლის შემდეგაც კიდევ მოუმატებს ხელფასს. სიმართლე გითხრათ, რას გულისხმობს ეს, უცნობია. მოყვება თუ არა შემცირებები, თუ მოყვება, რომელი კატეგორია მოყვება და ა. შ. თუმცა, ამას ახლა არ აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ შეთავაზებებს გაფიცულები ახლა არ დათანხმდნენ.

დღევანდელი ინფორმაცია რაც მაქვს, ის არის, რომ გაფიცულები ქალაქში მსვლელობას აკეთებენ, რომელსაც შეუერთდნენ სკოლის მოსწავლეები, აპირებენ შეუერთდნენ მაღაზიები და ა. შ. მოკლედ, მთელი ჭიათურა მიბმულია ამ გაფიცვაზე, ჭიათურის საზოგადოების მხარდაჭერა აქვს ამ გაფიცვას.

***– ხელისუფლების ჩართულობა რამდენად არის და თუ არის, რამდენად საკმარისია ეს ჩართულობა?***

– ხელისუფლების ჩართულობა განა საკმარისი არ არის, არამედ ეს გაფიცვა თავიდან ბოლომდე იმის ბრალია, რომ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა არაფერი, რასაც ჩვენ, პროფკავშირები ვაყენებდით. თუნდაც იგივე დაზღვევის მომსახურებასთან დაკავშირებით, თუნდაც იმაზე, რომ ჭიათურაში საავადმყოფო არ არის და ეს ადამიანები მომსახურების მისაღებად ან ზესტაფონში დადიან, ან საჩხერეში. ის, რომ 15-დღიანი სამუშაო ცვლა შეიცავს ტრეფიკინგის ელემენტებს, ის რომ კვების ხარისხი პერიოდულად არ ვარგა, ის, რომ საერთო საცხოვრებელში, სადაც 300-მდე მაღაროელი ცხოვრობს, მედპუნქტი არ არის, გამოვითხოვეთ ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ თვის განმავლობაში 10-12 გამოძახება აქვს სასწრაფო დახმარების ბრიგადას, რაც ცუდი მაჩვენებელია; ის, რომ ახალი ტიპის მაღაროებში ელმავალი ტიპის მატარებელი აღარ არის და მძიმე ტექნიკით ხდება მადნის გამოტანა, არის ჰაერის დაბინძურება და ვენტილაცია ვერ ასწრებს ჰაერის გამოტანას...

ამ ყველაფრის შესახებ ჩემი მხრიდან პირველად შრომის სამინისტრო ინფორმირებული იყო, თუმცა მათი ჩართულობა მინიმალისტური იყო. შეიძლება ითქვას, რომ არც კი ყოფილა. შესაბამისად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. როდესაც ამ ადამიანების პრობლემებზე ინდიფერენტულობას იჩენს კომპანიაც და მთავრობაც, მერე ეს ტრანსფორმირდება ხოლმე რევოლუციურ პროცესებში.

ამას ემატება გარემოსთან დაკავშირებული ამბებიც. მაღაროს გარდა „ჯორჯიან მანგანეცის“ სალიცენზიო ზონაში მუშაობენ კერძო კოოპერატორები, რომლებიც ღია კარიერული წესით მოიპოვებენ მადანს. დაახლოებით 7-8 სოფელში სავალალო მდგომარეობაა ეკოლოგიის თვალსაზრისით. გადათხრილია ყველაფერი, მინდორია დაზიანებული, ხე-ტყეა დაზიანებული და ა. შ.

***– ანუ იმ პირობების დარღვევა ხდება, რაც გარემოს დაცვის მოთხოვნებს შეესაბამება?***

– მე არ ვიცი, რა პირობით არიან შემოსული და რა პირობები აქვთ, მაგრამ ვხედავ რეალობას – მე, ჭიათურელი ადამიანი, რომელიც ვცხოვრობდი სოფელში და მსიამოვნებდა ჩემს სოფელში ცხოვრება, იმიტომ, რომ იყო მინდორი, მწვანე გარემო და ა. შ. ახლა ვხედავ გადათხრილ მიწას, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ვითარებაზე.

***– კონტროლი არ ხდება ამ ყველაფერზე?***

– მე როცა გელაპარაკებით, ნუ ჩათვლით, რომ გელაპარაკებათ ექსპერტი ან გარედან მაყურებელი. რასაც გეუბნებით, გეუბნებით თვითონ მაღაროელების მხრიდან გამოთქმულ გაჭირვებას. ამას გარდა, ღია კარიერული წესით მომუშავე კოოპერატორები მადანს სამრეცხაოებში რომ ეზიდებიან, მძიმეწონიანი მანქანები დადიან ქალაქის ცენტრალურ უბნებშიც, ზაფხულში არის მტვერი, ბუღი და უბედურება. დადის მანქანა და ვითომ რწყავს და ამ მტვერს ასუფთავებს, მაგრამ ეს არ შველის. ამას გარდა, ზესტაფონი-ჭიათურის გზა თავიდან ბოლომდე განადგურებულია, რადგან გზის ინფრასტრუქტურა 40-ტონიანი მანქანების სიარულისთვის არ არის მოწყობილი. ჩვენი მხრიდან იყო მცდელობა, რომ ეს პრობლემები მოგვარებულიყო და არ დაგროვებულიყო, მაგრამ ამის მიმართ გამოიჩინეს ინდიფერენტულობა.

***– რა პასუხები იყო ხელისუფლებისგან თქვენს რეკომენდაციებზე?***

– არაფერი პასუხი არ ყოფილა და მათი ჩართულობა იყო მინიმალური. ზოგადად ეს ჭირს ამ საზოგადოებას, რომ როცა მშვიდობიანი პერიოდია, არავის არაფერი აინტერესებს, როცა ამხელა პროტესტი დაიწყო, ახლა თითქოსდა ჩადიან. გაფიცვის მეხუთე დღეს – არჩევნების წინა დღეს ჩავიდნენ და თქვენი მოთხოვნები სამართლიანია და ა. შ. ასეთი განცხადებები გააკეთეს მმართველი პარტიის ხელმძღვანელებმა, თბილისის მერმა თუ პარლამენტის თავმჯდომარემ. თუ სამართლიანი აგერ პროტესტი გრძელდება და იმ არჩევნების დროს „ოცნებიდან“ წარდგენილმა ჭიათურის მერმა მიიღო ხმათა უმრავლესობა, ასეთი შედეგი სხვაგან არსად დაფიქსირებულა და რას ვხედავთ ჩვენ? რა წარმოდგენები შეიქმნა, რა, რომ ჩახვედი და უთხარი, რომ სამართლიანია პროტესტი და მხარს გიჭერ, მერე აიძულებ კომპანიას, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნები თუ რა?



**15 კაცი შიმშილობს, 3-4 კაცს პირი აქვს ამოკერილი, სიტუაცია ჩიხში შედის და კაცია არაა პატრონი, ვინც პასუხისმგებლობას აიღებს. გაჩნდა განცდა, რომ რამდენიმე კომპანია მართავს სახელმწიფოს.**

***– ანუ ცრუ მოლოდინები შექმნა ხელისუფლებამ არჩევნების წინ ამ დაპირებებით?***

– ეს შეფასებებია, მაგრამ მე შედეგზე ვსაუბრობ. საბოლოო ჯამში რა შედეგი მივიღეთ. შრომისა და და ჯანმრთელობის მინისტრმა თუ რაიმე მხარდაჭერა უნდა გამოავლინოს მშრომელებისადმი, სწორედ იმით უნდა გამოავლინოს, რა ბერკეტიც ხელისუფლებას აქვს და არა იმის დეკლარირებით, რომ მე თქვენ მხარს გიჭერთ.

ჩვენ დაყენებული გვაქვს საკითხი კომისიაზე, რომ მაღაროელები და მეშახტეები გაათავისუფლონ საშემოსავლო გადასახადისგან, რომ 20% მაინც არ ჩამოეჭრათ. 1 წელია არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა.

ხელისუფლების ინდიფერენტულობამ პროცესი აქამდე მიიყვანა, 15 კაცი შიმშილობს, 3-4 კაცს პირი აქვს ამოკერილი, სიტუაცია ჩიხში შედის და კაცია არაა პატრონი, ვინც პასუხისმგებლობას აიღებს. გაჩნდა განცდა, რომ რამდენიმე კომპანია მართავს სახელმწიფოს თუ სახელმწიფო მართავს ქვეყანას, ვეღარ გავიგეთ. იგივე იყო 2017 წელსაც „აზოტშიც“, როცა 350 ადამიანი ახსნა-განმარტებისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლეს სამსახურიდან და კაცმა არ მოსთხოვა პასუხი. გამოდის, რომ ეს დიდი კომპანიები მართავენ სახელმწიფოს?!

***– აქედან გამომდინარე ხომ არ ხედავთ იმ რისკს, რომ ქვეყანა სოციალური პროტესტის სერიამ მოიცვას? ანუ ერთი ქალაქიდან პროტესტი მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდეს?***

– აუცილებლად მოედება. ყოველდღიურად ვხედავთ საშინელ ინფლაციას. საქსტატის მონაცემებში რომ შედიხარ, 300-მდე პროდუქციით აკეთებენ საშუალო მონაცემს, მაგრამ თუ ჩაყვები დეტალურად, დაინახავთ, რომ ხილზე, ბოსტნეულზე, ხორცეულსა და რძის პროდუქტებზე დაახლოებით 25%-ით არის ფასი მომატებული. შეიძლება მანანის ბურღულზე ფასი დაკლებულია, მაგრამ ეს არ არის კვების ის რაციონი, რითაც იკვებება ადამიანი. რძე იქნება, შაქარი თუ ზეთი, ამაზე ფასები მომატებულია. ამას გარდა, ეროვნული ვალუტის საშინელი დევალვაციაა.

აბა შეხედეთ, „აზოტიც“, მადნეულიც, ზესტაფონიც და ჭიათურაც თავის პროდუქციას დოლარზე ყიდის, რადგან მისი პროდუქცია ექსპორტზე გადის. შემოსდით დოლარი, მერე მას აქცევენ ლარად, რომ ხელფასი ლარებში გასცენ. თუ 2012-13 წლებში მილიონი დოლარის პროდუქციას გაყიდიდნენ, მოსდიოდათ 1 მილიონ 650.000 ლარი, ახლა მოსდით 2 მილიონ 800.000 ლარი. ამ ვალუტის დევალვაციით, რომელსაც ექსპორტზე გააქვს პროდუქცია და დოლარზე ყიდის, ყველა კომპანია სარგებლობს. ძალიან სერიოზული დანაზოგები უკეთდებათ და ეს არის სარგებელი მათთვის, ამას ემატება დამსაქმებლების სურვილი, რომ მუდმივად შეამცირონ დასაქმებულები. მაგალითად, თუ 100 ადამიანი უშვებს 10 წონა ამონიუმის გვარჯილას, ხოლო შემდეგ თუ 80 ადამიანი ამავე რაოდენობის გვარჯილას გამოუშვებს, ხომ გაიზარდა შრომითი დაწოლა და ამით სარგებლობენ, ანუ სიტუაცია ნელ-ნელა მძიმდება.

არ გამოვრიცხავ, რომ ჭიათურის გაფიცვას სხვა მეწარმეებიც აყვნენ. წინ გვაქვს ტყიბულის კრიზისი, რომელიც გაჩერებულია. არავინ არ ასაჯაროებს იმ დასკვნას რაც გერმანელებმა დადეს, ასევე არავინ ამბობს, რას აპირებენ. ამის ნიშნებია ზესტაფონში და აზოტში, მეტალურგიაში კი მოგვარდა ჩვენი ჩარევით და მუშებს გარკვეული მოთხოვნები დაუკმაყოფილეს, მაგრამ მეტალურგია ერთია და უამრავი სამრეწველო ობიექტი არსებობს. ამას მოსდევს მომსახურების სფეროში, მაღაზიებში თუ სხვაგან უმძიმესი მდგომარეობა, სადაც დაბალია ხელფასები და ადამიანებს საშინლად ექცევიან. შესაძლებელია ამ პროგნოზის გაკეთება, რომ ამან სოციალური აფეთქების ხასიათი მიიღოს.

P.S. ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა შიმშილობა შეწყვიტეს.

როგორც ერთ-ერთი მაღაროელი პაატა სამხარაძე „ინტერპრესნიუსთან“ აცხადებს, შეხვედრაზე შეთანხმება შედგა, რაც 1 ივნისიდან ხელფასის 25%-ით, ერთი წლის შემდეგ 10%-ით გაზრდას გულისხმობს.

მისი ინფორმაციით, შეთავაზება მისაღებია მაღაროელებისთვის და გაფიცვა შეწყდება. შეხვედრას ეკონომიკის, ჯანდაცვის და განათლების მინისტრები, ასევე საჩხერე ჭიათურის მიტროპოლიტი ესწრებოდა. მაღაროელები 16 მაისს გაიფიცნენ.

# ივანიშვილი ხელისუფლებაში დარჩენას 2024 წლამდე აპირებს?

## „მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ შემდეგი არჩევნებიც მოვიგოთ“

შორენა მარსაგიშვილი



ყველა მიმართულებით რეიტინგშეზანზარებული „ოცნება“ კატასავით ზურგზე არ ეცემა და შემდეგი არჩევნების მოგებასაც გეგმავს. ეტყობა მათ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს უნდა, რომ როგორც მადრიდის „რეალმა“ მოიგო ზედიზედ სამჯერ ჩემპიონთა ლიგა, თავადაც ეგრე მოაგებინოს „ოცნებას“ არჩევნები.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაზე ზედიზედ სამჯერ არჩევნები არც ერთ ხელისუფლებას არ მოუგია. შევარდნაძეც და სააკაშვილიც ორი წრის შემდეგ წავიდნენ. ივანიშვილს კი წასვლა აღარ უნდა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილს არამც თუ მომდევნო, არამედ შეიძლება 2024 წლის არჩევნების მოგებაც მოისურვოს.

მისივე განმარტებით, ეს „ოცნების“ ლიდერს საკუთარი თავის და ქონების გადასარჩენად სჭირდება.

– ივანიშვილს რამდენჯერმე უნდოდა საერთოდ გასცლოდა პოლიტიკას, მაგრამ მას როგორც რუსეთთან, ასევე ამერიკელებთან ვალდებულებები აქვს და ვერ წავა. წასვლის შემთხვევაში მან შეიძლება ქონება დაკარგოს.

ამერიკის და რუსეთის გარდა, მას სააკაშვილისაც ეშინია. იცის, რომ თუ ნაციონალები დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, მას მიშა ბევრ რამეს წაართმევს. ამიტომაც ნებისმიერი ფასად ცდილობს ხელისუფლებაში დარჩენას.

მას შეუძლია ნაციონალების ჩაძირვაც, მაგრამ არ აკეთებს, რადგან იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ახალი ძალა დაიკავებს ოპოზიციურ ფლანგს, რომელმაც შეიძლება „ოცნებაც“ გაასამართლოს და ნაციონალებიც, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო.

მისივე ინფორმაციით, ივანიშვილს 2024 წლამდე აქვს გადაწყვეტილი ხელისუფლებაში დარჩენა.

– ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ 2024 წლისთვის ნაციონალური მოძრაობა დაიშლება. ასეთ შემთხვევაში ის მშვიდად წავა. თუ ასე არ მოხდა, 2024 წელსაც მოისურვებს გამარჯვებას, – აღნიშნავს წყარო.

ეს მოგება, წინა მოგებების მსგავსად, გაყალბებულს რომ არ ჰგავდეს, ივანიშვილი შეეცდება გუნდი უფრო ღირსეული სახეებით დააკომპლექტოს.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ „ოცნების“ ლიდერი სხვადასხვა ცნობად სახეებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. მთავარი მეოცნების გეგმაში პარტიების გადაბირებაც შედის.

„ოცნებაში“ ამ თემებზე ჯერ ღიად არ საუბრობენ. გვპირდებიან, რომ გუნდი სრულად გადახალისდება. ამის პირობა იმდენმა ადამიანმა დადო, რომ თუ ეგენი დარჩნენ „ოცნებაში“, იქ გადამხალისებლის ადგილი ელემენტარულად აღარ იქნება.

მმართველი პარტია რომ მომდევნო არჩევნებს არ დათმობს, ამაზე პარტიის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებაც მეტყველებს. ზაქარია ქუცნაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მათ უკვე მიღებული აქვთ პოლიტიკური გადაწყვეტილება.

– იდეალი გამოწვევისაგან იმით განსხვავდება, რომ ის არის მარადიული და იდეალებისთვის ბრძოლა და მსახურება არის მარადიული პროცესი. ამიტომ ვინც მიიჩნევს, რომ ერთი არჩევნებით ან თუნდაც ორი არჩევნებით იდეალები მიღწეული იქნება და ისინი გაქარწყლდება და მისთვის შრომა და ბრძოლა საჭირო აღარ იქნება, ეს, სულ მცირე, დილეტანტიზმი იქნება. ჩვენ მიღებული გვაქვს პოლიტიკური გადაწყვეტილება და ვაპირებთ, რომ მესამედაც გავიმარჯვოთ არჩევნებში 2020 წელს.

ასე რომ, „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნებისთვის ემზადება მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ აჩვენოს გამარჯვება და გააგრძელოს იმ იდეალებისთვის ბრძოლა, რაც, როგორც თავში გითხარით, მარადიულია, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

# პაატა ზაქარეიშვილი: „დღეს ხელისუფლებას ერთი მიზანი აქვს, ოპოზიცია დაშალოს“

## ზუგდიდში რომ სანდრას გაემარჯვა, ზუგდიდი ოპოზიციის ქალაქად გადაიქცეოდა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, კეთდება შეფასებები, რომ ბოლო პერიოდში ქართულმა ოპოზიციამ საერთოდ დაკარგა ხიბლი, გადამწყვეტ მომენტში ვერასდროს შეძლეს ერთიანი ძალებით წარდგნენ საზოგადოების წინაშე. ხელისუფლებაც არასახარბიელო მდგომარეობაშია, მისი რეიტინგიც დღითიდღე კლებულობს. რა პროცესებს უნდა ველოდეთ, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– რა თქმა უნდა, ამ არჩევნების შემდეგ ბევრი რამე გაირკვა, სიცხადე შევიდა, რეალობა უფრო მკაფიოა. მე არ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ოპოზიციამ ხიბლი დაკარგა. აშკარად ხელისუფლება კარგავს რეიტინგს. ინფორმაცია, რომ ოპოზიცია კარგავს რეიტინგს, ეს ყველაფერი ხელისუფლებისგან მოდის.

***– „ოცნება“ ავრცელებს თავად ამ ინფორმაციას?***

– სწორედ მათ ინტერესებშია. მათგან მოდის ეს პოზიცია და მიზანმიმართულად ვრცელდება. რეალურად კი ეს ასე არ არის. ხელისუფლება ცდილობს, რომ ხელოვნურად მაინც შეძლოს და მოახდინოს მათი ერთობის დემონსტრაცია. მაგალითად, 26 მაისის ფოტოებიდან ეს კარგად იკითხებოდა.

***– კერძოდ, რას გულისხმობთ?***

– ზურაბიშვილი და კალაძე რომ ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებენ. შემთხვევით არ გავრცელებულა ეს ფოტო. ეს არის დემონსტრაცია ერთობისა, თითქოს, აი კალაძეც კი, რომელიც ამბობს, რომ ზურაბიშვილი ჩვენი არ არის, ჭიქას უჭახუნებს ზურაბიშვილს. ეს არის კარგად გათვლილი პიარნაბიჯი. ვისაც შესწევს უნარი, ის წაიკითხავს, რომ მათ აქვთ ამის სერიოზული პრობლემა და ცდილობენ საზოგადოებაში შექმნან განწყობა, თითქოს ისინი ერთად არიან და რასაც მათზე ამბობენ, ეს ასე არ არის.

***– თუმცა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად იცის, რომ სერიოზული დაპირისპირებაა „ოცნების“ შიგნით.***

– ამიტომ მე არ ვეთანხმები იმ შეფასებებს, რომ ოპოზიციამ ხიბლი დაკარგა. არჩევნებმა აჩვენა, რომ ყველგან, ყველა შედეგებში ხმები გაიყო. მთაწმინდაზე ხომ საერთოდ მეორე ტური დაინიშნა. რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მკაფიოდ გამოკვეთილი მესიჯებია. ის თუ რატომ ვერ გაიმარჯვა ზუგდიდში ოპოზიციამ, ეს ოპოზიციის სერიოზული პრობლემაა.



***– რა პრობლემაზე საუბრობთ?***

– ის, რომ მათ ზუგდიდს არ შესთავაზეს მერი! იქ რომ გაემარჯვა სანდრას, ყველა ზუგდიდელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სანდრას გამარჯვების შემთხვევაში, მათ მერი არ ეყოლებოდათ, ზუგდიდი გადაიქცეოდა ოპოზიციის დედაქალაქად, რაც სულაც არ არის მომხიბლავი, როცა ქალაქს მერი არა ყავს და კორუფციის გამო იყო გაგდებული წინა მერი. ოპოზიციას ზუგდიდელებისთვის უნდა შეეთავაზებინა არა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, არამედ ზუგდიდელი მერის კანდიდატი, რომელიც მერობას გაუწევდა ქალაქს და მეურნე იქნებოდა.

***– ანუ არასწორი იყო სანდრას წარდგენა?***

– დიახ. ეს ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა მარნეულში, სადაც ადგილობრივი აირჩიეს მერად და ამ კუთხით „ოცნებამ“ პირწმინდათ მოიგო. როგორც ჩანს, მათ კარგად იციან, რა განსხვავებაა საპარლამენტო არჩევნებსა და მერის არჩევნებს შორის. ეს ზოგადად კარგი ნიშანი იყო. მოსახლეობამ ზუსტად იცის, რას ნიშნავს მერის არჩევნები და რას ნიშნავს პარლამენტის არჩევნები. მთაწმინდამ, მარნეულმა და ზუგდიდმა ეს კარგად დაგვანახა. თუმცა ის, რომ ამხელა პროცენტი მიიღო ოპოზიციამ, ეს სერიოზული შეტყობინებაა „ქართული ოცნებისათვის“. დღეს ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, როგორმე შეინარჩუნოს ერთობა. თუ რამე შეუძლია „ქართულ ოცნებას“ წარმატებისთვის, ეს არის განხეთქილების შეტანა ოპოზიციაში. ვილაცის ყიდვა, სპოილერების შექმნა, უამრავი ახალი პარტიის შექმნა, რათა ხმები გაშალოს, რათა მეტოქედ არ ყავდეს ერთი პოლიტიკური ძალა. ამიტომ ხელისუფლების მთელი ენერგია წავა იქითკენ, რომ როგორმე განხეთქილება შეიტანოს ოპოზიციაში და როგორმე ოპოზიცია არ გაერთიანდეს. ამიტომ ეს არჩევნები გაკვეთილი უნდა იყოს ოპოზიციისათვის.

***– სულ გვესმის შეფასებები, რომ დაიღალა საზოგადოება, მას აღარ უნდა აღარც ქოცი, აღარც ნაცი და სერიოზული მოთხოვნაა მესამე ძალაზე, რომელიც ვერა და ვერ ჩამოყალიბდა. გუშინ ეკა ბესელიამაც დააანონსა ახალი პარტიის ყრილობა. შეძლებს იყოს რეალური ოპოზიცია, თუ მას მაინც ექნება ქოცის იარლიყი?***

– ჯერ ვნახოთ, როგორ დაფიქსირდება პარტია და რა განაცხადი ექნებათ. სიტყვები ერთია და მოქმედება მეორე. მე ეჭვი მეპარება, რომ მარტო ცალკე აღებულმა ეკა ბესელიას პარტიამ რაიმე წარმატებას მიაღწიოს. თუმცა 3%-იანი ბარიერი კარგი საშუალებაა, რათა პარტიები არ გაერთიანდნენ. 3%-იანი ბარიერი დღეს ყველაზე მეტად აწყობს „ქართულ ოცნებას“.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ რაც შეიძლება ბევრ პარტიას ექმნება ილუზია, რომ თვითონ გადალახავს ამ პროცენტს და აღარ გაერთიანდებიან. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არ იქნება საუკეთესო გადაწყვეტილება „ქართული ოცნებისათვის“, რადგან თუ ბევრი პარტია შევა პარლამენტში და ისინი არ იქნებიან ნაყიდნი „ქართული ოცნების“ მხრიდან, მაშინ ისინი გაერთიანდებიან მის წინააღმდეგ. ამიტომ 2020 წლის არჩევნების შემდეგ, შეიძლება გაჩნდეს შანსები, რომ შეიქმნას ურთიერთობის თაობა. ამ ფონზე ეკა ბესელიას პარტიას შანსი ექნება, გადალახოს 3%-იანი ბარიერი და მოკავშირეები ეძებოს პარლამენტში. ან ახლავე იპოვოს მოკავშირეები. მე ეჭვი მეპარება, რომ მარტო აღებულმა რომელიმე ახალმა პარტიამ სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს თუ სოციალურ საკითხებზე არ ისაუბრა, თუ ხალხს არ შეუქმნა განცდა, რომ მათი ცხოვრების დონე გაუმჯობესდება.

> **საზოგადოებამ აპატია „ქართულ ოცნებას“ სასამართლო რეფორმის ჩაგდება, „ქართულმა ოცნებამ“ რამე კი არ გააფუჭა, მან დატოვა ნაცმოძრაობის სასამართლო**

***– როგორც ჩანს, ბესელია უფრო სამართლიანობის აღდგენის სლოგანით გამოდის. მის პარტიასაც ასეთი სახელი ერქმევა.***

– ის ფაქტი, რომ საზოგადოებამ აპატია „ქართულ ოცნებას“ სასამართლო რეფორმის ჩაგდება, „ქართულმა ოცნებამ“ რამე კი არ გააფუჭა, მან დატოვა ნაცმოძრაობის სასამართლო, ახალი არაფერი არ შემოუტანია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს კატასტროფა მოხდა, კატასტროფა არ მოხდა, კატასტროფა იყო და ამათმა ყველაფერი უცვლელად დატოვეს. მათ ჰქონდათ შანსი, რომ სასამართლო ყოფილიყო დამოუკიდებელი და სამართლიანი, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს და დაიტოვეს ნაცმოძრაობის სასამართლო. დღეს ძალიან სახიფათო გზაზე დგას „ქართული ოცნება“.

***– უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური ფონია ქვეყანაში. თავადვე ბრძანეთ, რომ უპირატესობა ექნებათ სწორედ იმ პარტიებს, ვინც ამ პრობლემის მოგვარების გზებს დაანახებს საზოგადოებასო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ხდება ჭიათურაში, რამდენად მშვიდად მივალთ 2020-მდე?***

– სერიოზული პროცესია ის, რაც ჭიათურაში ხდება. ეს სრულიად ახალი განაცხადია, მთელი ქალაქი გაფიცულია. ასეთი რამ აქამდე საქართველოში არ ყოფილა. სკოლები გაიფიცა, მაღაზიები, საქართველოში პირველად ხდება ასეთი ორგანიზებული რამ. ეს არის უნიკალური სოლიდარობის ნიშანი! აი სწორედ ასე იქმნებოდა პოლონეთში სოლიდარობა. ჭიათურელებს შეუძლიათ თქვან, რომ სწორედ ისინი არიან სოლიდარობის სამშობლო, ამ ცნების მატარებელი ქალაქი. აქამდე ასეთი რამ არ მომხდარა.

***– რამდენად იქნება ეს გადამდები სხვა ქალაქებისთვის, ექნება ამ პროცესს ჯაჭვური რეაქცია?***

– ამან შეიძლება გამოიწვიოს გავრცელება. ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. ისეთი ქალაქები, სადაც რაიონის შემქმნელი წარმოებებია, ასეთი რამ შესაძლოა გადამდები აღმოჩნდეს ამ ქალაქებისთვის.

***– ხედავთ მზაობას, რომ ხელისუფლება ცდილობდეს პრობლემის მოგვარებას?***

– დღეს ხელისუფლებას მიზანი აქვს, როგორ მოახერხოს ოპოზიციის დაშლა, ის ამაზე დიდ ენერგიას ხარჯავს და მეორე ამოცანა იქნება ასეთი პრობლემების მოგვარება. რაღაც მომენტში დიდ ფულს გაისვრიან. თუ საპრეზიდენტო არჩევნების წინ დიდი ფული გაისროლეს და შეეცადნენ ეყიდათ ბანკისგან დაზარალებული მოსახლეობის ნაწილი, ახლა უფრო რთულად ექნებათ საქმე. ახლა მოუწევთ უფრო დიდი ფულის გასროლა.

# გედევან ფოფხაძე: „ვიბრძოლებთ უსამართლობის წინააღმდეგ“

## „ოცნებას“ კიდევ ბევრი ადამიანი დატოვებს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, თქვენ, ეკა ბესელია და ზვიად კვაჭანტირაძე ახალ პოლიტიკურ პარტიას ქმნით. ეს სამეული ახალი პლატფორმით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის იწყებს ბრძოლას?***

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე თუ რა კონფიგურაციით გავალთ, ამაზე დღეს საუბარი ნაადრევია. ცხადია, ჩვენი პოლიტიკური განაცხადი სწორედ არჩევნებზე ხელისუფლების შეცვლაა, ამ მიზანს ისახავს ჩვენი მოძრაობა. თუმცა, მანამდე შევეცდებით ამ პოლიტიკური პლატფორმით მაქსიმალურად მოვიზიდოთ ის ადამიანები, რომლებიც ხედავენ ქვეყანაში უსამართლობას. იმას, რომ შესრულებული არ არის ის დაპირებები, რომლებიც 2012 წელს გაიცა სწორედ სამართლიანობასთან დაკავშირებით.

საჭიროა სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანების მობილიზება. მობილიზებულ, ორგანიზებულ ძალად რომ ჩამოვყალიბდეთ და წარვდგეთ საზოგადოების წინაშე, ამისთვის დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური პარტიის ფორმირება.

***– ვინ იქნებიან თქვენი მოკავშირეები? ვისთან ითანამშრომლებთ და ვისთან – არა?***

– ჯერ მკვეთრ პოლიტიკურ ხაზებს არ ვავლებთ. ჯერ ჩვენ ხალხთან უნდა ვისაუბროთ. ჯერ უნდა ვიქცეთ იმ ძალად, რომელიც სჭირდება იმ ამომრჩეველს, რომელიც არჩევნებზე არ დადის. ეს ამომრჩევლის ძალიან დიდი რაოდენობაა. ისინი არჩევნებში გამარჯვებას თავის გამარჯვებად არ თვლიან. მეტიც, უარს ამბობენ. არსებულ პოლიტიკურ სივრცეში ეს ადამიანები მოკავშირეებს ვერ ხედავენ. ჩვენ ვაპირებთ ვიქცეთ ამ ადამიანების მოკავშირეებად.

***– ძალიან ბევრი ნადირობს ნიჰილისტურად განწყობილ ამომრჩეველზე, რომლის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, თქვენ რა შეთავაზება გექნებათ?***

– თქვენ სწორად შენიშნეთ, მართლაც რომ ნადირობენ. ვინც ნადირობს ადამიანებზე, მათ არანაირი შანსი არ უნდა ჰქონდეთ. ჩვენ ამ ადამიანებს დავანახებთ, რომ ჩვენ გვინდა მათ ვემსახუროთ. მე და ეკა ძველი ადვოკატები ვართ. ადამიანი როგორ აკეთებს არჩევანს, მაგალითად, როდესაც ადვოკატს ირჩევს? ის ცდილობს, მონახოს ერთგული, მისი ინტერესების რეალური დამცველი, კვალიფიციური, პროფესიონალი, რომელსაც ენდობა.

თუ ამომრჩეველი და ხელისუფლება ერთმანეთს დაშორდება, ეს აჩენს ნიჰილიზმს, ეს აჩენს იმედგაცრუებას. ჩემი გამარჯვება მისი პირადი გამარჯვება თუ არ იქნება, ასეთი აღქმა თუ არ ექნება ამომრჩეველს, მაშინ არაფერს აზრი არ აქვს. ადამიანები მხოლოდ იმას დაინახავენ, რომ ვიღაცები მილიონებს შოულობენ და მისთვის არაფერი არ იცვლება, რა თქმა უნდა, ეს ნიჰილიზმს გამოიწვევს. სწორედ ეს იწვევს ხელისუფლებისადმი, პოლიტიკოსებისადმი უნდობლობას.




***– პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ მონახაზი ჯერ არ გაქვთ?***

– უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთჯერადი აქტი არ არის, ამისთვის ბრძოლა ყოველთვის ღირს. ვისაც აქვთ ასეთი მსოფლმხედველობა და რწმენა, ყველასთან უნდა შევძლოთ დალაპარაკება, საერთო ძალების გამონახვა, რადგან თუ გათითოკაცებულები ვიქნებით, უსამართლობა დაგვამარცხებს.

***– ნაციონალური მოძრაობაც ამბობს, რომ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის. ნაციონალურ მოძრობასთანაც ითანამშრომლებთ?***

– არა, არა. ვინ რას ამბობს, ეს მისი პირადი რიტორიკის საკითხია. თუ უსამართლობას ებრძვი, უსამართლობის შემოქმედი არ უნდა იყო. სასამართლო სისტემას ჩვენ რომ ვუპირისპირდებით, ჩვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის განსხვავება ის არის, რომ ისინი არ დაუპირისპირდებოდნენ ამ მოსამართლეებს, თუ ისევ მათთან იქნებოდნენ. თუ მათი ერთგულები დარჩებოდნენ. ახლა უპირისპირდებიან იმიტომ, რომ მათთან არ არიან. ეს განგვასხვავებს ჩვენ.

მე ვამბობ, რომ 2012 1 ოქტომბერს რისთვისაც ვიბრძოდი, ის არ შესრულდა და ეს ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ მე ამ ბრძოლას ვერ გავაგრძელებ იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც მაშინ ვებრძოდი. ღირებულებების თვალსაზრისით ყველაფერი თავდაყირა არ უნდა დადგეს. როგორც მურუსიძე იყო დამნაშავე სააკაშვილის რეჟიმში, ისე იყო ის პოლიტიკური ძალა დამნაშავე, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია. ნაციონალურ მოძრაობასთან სამართლიანობის დროში ქვეშ დადგომა, ვფიქრობ, სამართლიანობის იდეას სერიოზულად დააზარალებს.

დღეს ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ არის ის ორი ძალა, რომელიც ერთმანეთს აძლიერებს და ერთმანეთის ენერგიით არსებობს.

***– ბატონო გედევან, რატომ ვერ შეძელით იმ ადამიანებმა ერთად დადგომა, რომლებმაც „ქართული ოცნება“ ცნობილი მოვლენების დროს დატოვეთ? როგორც ცნობილია, ეს ადამიანები ცალკე ქმნიან პარტიებს.***

– ჯერ ერთი, არა მგონია, რომ გაერთიანების პროცესი დასრულებულია. ცალკე პარტიას დააფუძნებ და შემდეგ გაერთიანდები, ეს არსებითი არ არის.

„ქართულ ოცნებაში“ ინდივიდუალურობის ხარისხი მინიმუმი იყო. მაგალითად, ბექა ნაცვლიშვილი არის მემარცხენე. ჩვენი პარტია დეკლარირებული გვაქვს, როგორც ცენტრისტი, ამის გამო შეიძლება ძალიან ღირსეული დეპუტატი და კარგი ადამიანი ბექა ნაცვლიშვილი ჩვენთან ვერ შემოვიდეს, მაგრამ გარკვეულ, მნიშვნელოვან საკითხებზე ჩვენს თანამშრომლობას წინ არაფერი უდგას.

***– „ქართულ ოცნებას“ კიდევ დატოვებენ თუ ეს პროცესი დასრულდა?***

– არა, პროცესი არ დასრულებულა. „ოცნება“ ძალიან ბევრმა წევრმა უნდა დატოვოს, ისე მიდის ქვეყანაში პროცესები. „ოცნება“ და რეალობა უკვე ძალიან დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

***– ამბობენ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კენჭისყრა იქნება ერთგვარი ლუსტრაცია. ეთანხმებით?***

– რა თქმა უნდა, ეს საკითხი იქნება ერთ-ერთი პრინციპული საკითხი. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ სხვა საკითხებიც იყოს კრიტიკული.

# ახალი ათონის მონასტრის დაკეტვამ ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკა დააზიანა

## დბარის და აპლიას რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება გაღრმავდა

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკური ციებ-ცხელების პარალელურად, აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში სასულიერო დავიდარაბა გრძელდება. ამის გამო დაკეტილია ახალი ათონის სამონასტრო სავანე. კომპლექსის ექვსი ეკლესია მიუწვდომელია როგორც ადგილობრივი მრევლის, ისე მომლოცველებისა და ტურისტებისთვის.

აფხაზეთის ტურიზმის სპეციალისტების ინფორმაციით, ახალი ათონი, ისევე როგორც გაგრა, ბიჭვინთა, რიწა და სოხუმის ბოტანიკური ბაღი, დამსვენებლებისთვის ყველაზე პოპულარული ადგილია.

ახალი ათონის სავანეში რჩებიან ბერები, რომლებიც აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.

სამონასტრო კომპლექსი ხალხისთვის მას შემდეგ დაიკეტა, რაც ორ თვითმარქვია რელიგიურ ჯგუფს შორის დაპირისპირება გაღრმავდა. აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნება და მის გარეშე იქ მიმდინარე პროცესები უკანონოა.

ცოტა ხნის წინ ახალ ათონს სტუმრობდა ბესარიონ აპლია. აპლია თავს აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ეძახის. 2011 წლამდე მას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელი ერქვა. აპლიას და მის მიმდევრებს კონფლიქტი აქვთ დოროთე დბართან, რომელიც თავს აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის მეთაურს უწოდებს. დბარის ადგილსამყოფელი ახალი ათონია.

აპლიამ დბარს ულტიმატუმი წაუყენა, ან წერილობით რუსეთის პატრიარქის – კირილის წინაშე განხეთქილებაში მონაწილეობა მოინანიოს, ან მონასტერი დატოვოს. დბარმა ამის საპასუხოდ ერთობლივი წირვის ჩატარება და შერიგება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

ამის შემდეგ მონასტერი დაიკეტა. ოკუპირებული რეგიონის რეჟიმი რელიგიურ დავაში არ ერევა. საოკუპაციო რეჟიმის მთავრობის 2011 წლის დადგენილებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები და სიწმინდეები აფხაზეთის მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. აფხაზეთის დღევანდელი ადმინისტრაცია ტურისტებისთვის პოპულარული ობიექტის იზოლირებას არ მიესალმება, მაგრამ ვერც კონფლიქტში ებმება.

აფხაზეთში ბევრი ხვდება, რომ რელიგიური საკითხები საქართველოს საპატრიარქოს გადასაწყვეტია. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ამ რეგიონში არ უშვებენ. იმისთვის, რომ ეს გაამართლონ, იხსენებენ 1992-93 წლების ომს. აფხაზეთში ამ ომზე რატომღაც პასუხისმგებლობას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასაც აკისრებენ. აფხაზეთში ითვლება, რომ მართლმადიდებელი ეკლესია თბილისიდან ქართულ ჯარს გვერდით ედგა, ამიტომ მისი წარმომადგენლები აფხაზეთში საქმიანობას ვერ განაახლებენ.



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ხან ფარულად და ხან ღიად ერევა აფხაზეთის სასულიერო საქმეებში. ბესარიონ აპლია აღიარებს, რომ რუსეთის ეკლესია ბოლო წლებში მონაწილეობდა სასულიერო პირების სწავლებასა და ხელდასხმაში.

დოროთე დბარი და მისი გარემოცვა პირველად აპლიას სწორედ მოსკოვის საპატრიარქოსთან გარიგების გამო შეეჯახნენ. მაშინ დბარი საბერძნეთში სწავლობდა. აპლიამ ახალი ათონის მონასტერში ყველასთვის მოულოდნელად და წესების დარღვევით მიავლინა ეფრემ ვინოგრადოვი. მანამდე მონასტრის წინამძღვარი ანდრია ამპარი იყო. ამან აფხაზეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაიმართა სახალხო-სასულიერო კრება, რომელსაც უცხოეთში წასული აფხაზებიც შეუერთდნენ. კრებაზე გადაწყდა წმინდა მიტროპოლიის შექმნის საკითხი. ვინოგრადოვი ათონიდან წავიდა.

დღეს აპლია დბარისგან მოითხოვს მონანიებას სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის წინაშე. ესეც უკანონობაა. ასევე სამართლებრივი ძალა არ გააჩნია აფხაზეთში ჩატარებულ რეფერენდუმს. 2013 წელს გამართული რეფერენდუმის თანახმად, 70.000-მა აფხაზეთის მოქალაქემ მოითხოვა აფხაზეთის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნა. მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის საზღვრებს საქართველოს 1990 წლის საზღვრების მიხედვით აღიარებს.

დროდადრო აფხაზეთში ჩნდება პროტესტი იმის გამო, რომ ტურისტები არასათანადოდ იქცევიან წმინდა ადგილებში. 2009 წელს ამგვარი პრეტენზია რუსეთის დუმის იმდროინდელ დეპუტატ მიშჩენკოსაც გაუჩნდა. მალე გაირკვა, რომ მას სხვა მიზნები ამოძრავებს. მიშჩენკომ თავის აქტივისტებს მოაწყობინა აქციები და ფლეშმობები, სადაც ამხილა რუსი ტურისტები, რომლებიც მონასტრებში საცურაო კოსტუმებით დადიან და ცუდად იქცევიან. მანვე მოუწოდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, დასახმარებლად მიემართა რუსეთის პატრიარქისთვის. რუსი პოლიტიკოსი ირწმუნებოდა, რომ პატრიარქი კირილი აფხაზეთში სამონასტრო ცხოვრებას აალორძინებდა.

რუსეთი ოკუპირებული რეგიონის ცხოვრებაში დღესაც ერევა, თუმცა რელიგიური საკითხების გადაწყვეტა არ გამოსდის.

# ვახტანგ მაისაია: „აზერბაიჯანულ მხარეს უნდა დავუმტკიცოთ, რომ დავითგარეჯი ჩვენი ტერიტორიაა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.



***– ბატონო ვახტანგ, დღეს საქართველოში გარკვეული ძალები სამხედრო მიუმხრობლობის პოლიტიკაზე საუბრობს. რას მოგვცემს მიუმხრობლობა მაშინ, როდესაც თვით საქართველოს ბევრი გამოწვევა აქვს თავისი მეზობლების გამოისობით?***

– მიუმხრობლობა არის სპეციფიკური ნეიტრალიტეტის ფორმა საერთაშორისო სამართალში, რომელიც ითვალისწინებს არაბლოკური პოლიტიკის გატარებას, ანუ ქვეყანა არც ერთ ბლოკში არ წევრიანდება. თუმცა, ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს სამხედრო პოტენციალი და სამხედრო ნეიტრალიტეტი გამოცხადებული. ეს არის მთავარი იდეა. შეიძლება იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის წევრი, მაგრამ არა სამხედრო ბლოკებისა და სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების წევრი.

მაგალითად, რამდენიმე ქვეყანამ იუგოსლავიამ, ტანზანიამ, ინდოეთმა და შვედეთმა თქვეს, რომ არც ერთ სამხედრო ბლოკს არ ვუერთდებით და ვატარებთ ჩვენს განსაკუთრებულ პოლიტიკურ კურსს.

***– თუმცა, საქართველოში ამ იდეის გამხმოვანებლები ამბობენ, რომ კონფლიქტებში და სამშვიდობო პროცესშიც არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.***

– თუ ეს არის სამხედრო ბლოკის, ან ალიანსის პოლიტიკა და გარკვეულ ოპერაციებში მონაწილეობს, ეს ცალკე საუბრის თემაა. ამიტომ მიუმხრობლობა ნიშნავს არც ერთ სამხედრო ბლოკში არ შესვლას.

***– იმ ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია და იქ ორი რუსული სამხედრო ბაზაა, რამდენად შევძლებთ ალიანსების გარეშე დამოუკიდებელი სამხედრო პოლიტიკის გატარებას და ჩვენი უსაფრთხოების დაცვას? თუკი რუსეთი გაიყვანს თავის სამხედრო ბაზებს, მაშინ, ალბათ, უფრო შეიძლება ამაზე დავფიქრდეთ.***

– თუ რუსეთი თავის სამხედრო ბაზებს გაიყვანს, ჩემთვის მაშინაც მიუღებელია მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარება. მე ვეწინააღმდეგები მიუმხრობლობის პოლიტიკას, რადგან დღევანდელი რთული გეოპოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, რაშიც საქართველო იმყოფება, ვერ გავუმკლავდებით ვერც ერთ სამხედრო შემოტევას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისა და ალიანსის გარეშე. ვითარება ასეთია.

***– ამ იდეის გამხმოვანებლები ამბობენ, რომ თურმე მიუმხრობლობის პოლიტიკა საშუალებაა, რუსეთთან მშვიდობიან თანამშრომლობაში ვიყოთ.***

– რუსეთთან ჩვენ ომის მდგომარეობაში ვართ, რომელ მშვიდობიან თანამშრომლობაზეა საუბარი. ჩვენ ხელი მოვაწეროთ სამშვიდობო ხელშეკრულებას, თუ რუსეთი ამაზე წამოვა, მაგრამ ეჭვი მეპარება, რუსეთი ამაზე წამოვიდეს. ჩვენ ვართ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა. ჩვენ რუსეთის აგრესიის მოგერიება დამოუკიდებლად არ შეგვიძლია.

დიდი ეჭვი მაქვს, სხვა ქვეყნებთან, მაგალითად, აზერბაიჯანთან გართულებული სიტუაცია რომ არის, იქაც შეიძლება გარკვეული პრობლემები გვქონდეს. იმედი მაქვს აქამდე საქმე არ მივა, თუმცა, დღეს კავკასიაში არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სცენარი გასათვალისწინებელია.

აქედან გამომდინარე მიუმხრობლობის პოლიტიკა დღეს ჩვენთვის ამ ეტაპზე მიუღებელია. ჩემთვის მიუღებელი და ნაკლებად სავარაუდო პოლიტიკური კურსია. ჩვენს ძლიერ მეტოქეს, მხოლოდ ჩვენი საკუთარი ძალებით (როგორც უნდა გავძლიერდეთ), რუსეთს, ვერ გავუმკლავდებით. ეს არის რეალობა.

***– აზერბაიჯანი ახსენეთ – მაშინ, დავითგარეჯის ტერიტორიასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესში აზერბაიჯანულ მხარეს სადავოდ გამხდარ ტერიტორიაზე ჯიუტად გზა გაჰყავს. თან აზერბაიჯანულ მხარეს კომისიის თავმჯდომარედ გენერალი დაუნიშნავს.***

– გინდ გენერალი იყოს, გინდ ადმირალი და გინდ სერჟანტი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ელემენტარულად, ეს არის საკითხისადმი მიდგომა. გენერლის დანიშვნა ნიშნავს, რომ მხარე პოზიციების დათმობას არ აპირებს. ასეთია სამწუხარო რეალობა. ალბათ, ჩვენ მოგვიწევს ჩვენი ინტერესების დაცვა. ასე ხელაღებით თავის დახრა არ არის საქმე. სულ მცირე, ეს ჩვენს პოლიტიკურ იმიჯს, გეოპოლიტიკურ იმიჯს ძალიან ცუდად წაადგება.

***– როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები?***

– უნდა გამოვნახოთ ხელსაყრელი პოზიცია, იგივე შეიძლება გაცვლაც. გარეჯის ის მონაკვეთი ჩვენ მოგვცენ და ალტერნატიული ტერიტორია წაიღონ, სავსებით შესაძლებელია.

***– ესეც უკან დახევა არ არის?***

– არავითარ შემთხვევაში არ არის უკან დახევა.

***– 1938 წლის რუკებითაც, რომლითაც მოლაპარაკებების დროს ხელმძღვანელობენ, დასტურდება, რომ ეს ტერიტორია ჩვენია.***

– მე არ ვარ კომისიის წევრი და კონკრეტულად რა როგორ არის, ვერ ვიტყვი. მე ზოგადად ვამბობ, თუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი, როგორ ქართული კულტურის ძეგლი, როგორც ისტორიული ფასეულობა და ღირებულება, დავითგარეჯის დაბრუნება აუცილებელია.

***– ცხადია, მით უმეტეს, რომ ჩვენი ტერიტორიაა.***

– სხვათა შორის, აზერბაიჯანელებიც ამბობენ, რომ მათი ტერიტორიაა. იცით, რომ 2007 წელს პრეზიდენტმა ალიევმა აღნიშნული ტერიტორია ისტორიულ ნაკრძალად გამოაცხადა. იმიტომაც არის, რომ აზერბაიჯანი ამ ტერიტორიას გვართმევს. ეს მომენტიც არის. ამიტომ ჩვენ პრინციპული პოზიცია უნდა დავიჭიროთ. დანარჩენი მომლაპარაკებლების საქმეა.

***– ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის პოზიციიდან აზერბაიჯანის საქართველოსადმი ასეთი დამოკიდებულება რა ნიშნავს, რის მანიშნებელია?***

– სტრატეგიული პარტნიორობა არ არსებობს. როდესაც გარკვეულ მომენტში ინტერესთა თანხვედრა აღარ იქნება, ინტერესთა ცვლილებით შეიძლება სტრატეგიული პარტნიორობაც დასრულდეს. თუ ჩვენი ეროვნული ინტერესები ემთხვევა აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებს, კი ბატონო. ჩვენი ინტერესები დაემთხვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანთან დაკავშირებით და კიდევ სხვა პროექტებთან დაკავშირებით. ყოველთვის არ შეიძლება სტრატეგიული პარტნიორი ერთი და იგივე გყავდეს.

ჩვენ აზერბაიჯანთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაქვს. თუ სტრატეგიული პარტნიორი შენს სუვერენიტეტს შეგილახავს, ტერიტორიულ მთლიანობას შეგილახავს (ქვეყნისთვის სუვერენიტეტი არის მაღალი ღირებულება), მორჩა, სტრატეგიული პარტნიორობა აღარ არსებობს. ეს არის მთავარი მომენტი. ამას შემდეგ მოსდევს არშემდგარი ქვეყნის სტატუსი. ამ პოზიციიდან გამომდინარე, ჩვენ პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოვიჩინოთ.

***– 2007 წელს, როდესაც ალიევმა ეს ტერიტორია ნაკრძალად გამოაცხადა, ხომ არ გახსოვთ, სააკაშვილის ან მისი ხელისუფლების წარმომადგენლების რაიმე რეაქცია თუ იყო?***

– მაშინ სააკაშვილს ალიევთან ისეთი ურთიერთობა ჰქონდა, სააკაშვილი აპირებდა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის კონფედერაციის შექმნას. მაშინ ალიევს ჰქონდა სრული კარტ ბლანში. სააკაშვილის ინტერესები ემთხვეოდა ალიევის ინტერესებს და ალიევის ქმედებას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.

***– დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ ვინ დაკარგა, ვინ გაასხვისა თუ გაყიდა ეს ტერიტორია. ანუ 2007 წელს მომხდარა ამ ტერიტორიის ფაქტობრივი გაყიდვა. თუ ალიევმა დავითგარეჯის ტერიტორია ისტორიულ ნაკრძალად გამოაცხადა და ამას სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია.***

– მე ასე ვიცი, რომ ალიევმა ის ტერიტორია ისტორიულ ნაკრძალად გამოაცხადა და ამას სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. მოლაპარაკების პროცესში უნდა გამოიხატოს სახელმწიფოებრივი პოზიცია და ეს ტერიტორიები საქართველოს უნდა დაუბრუნდეს.

***– კი, მაგრამ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთთან რა კონფედერაცია უნდა შეექმნათ?***

– კონფედერაციის შექმნა აზერბაიჯანის ინიციატივა იყო და სააკაშვილიც დაეთანხმა. უნდოდათ პოლიტიკური კონფედერაციის შექმნა თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის სახით.

***– ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტის საკითხზე, საქართველო თურქეთში შეხვედრაზე რომ არ მიიწვიეს. როგორც აღნიშნული პროექტის მონაწილე, ხომ უნდა მიეწვიათ?***

– საქართველო ამ პროექტის დამფინანსებელი არ არის. რამდენად მე ვიცი, ამ პროექტს აზერბაიჯანი და თურქეთი აფინანსებენ. საქართველო გაქრა რეგიონალური პოლიტიკიდან. თურქეთმა, რუსეთმა და აზერბაიჯანმა გადაწყვიტეს, თვითონ მიეღოთ გადაწყვეტილება.

***– იმ შეხვედრაზე რუსეთი იყო მიწვეული და პროექტის მონაწილე საქართველო არა.***

– აზერბაიჯანისა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. თურქეთის ინტერესები დაემთხვა აზერბაიჯანის ინტერესებს. ასეთი ახალი რეგიონალური უსაფრთხოების სამკუთხედი შეიკრა.

***– აზერბაიჯანს ძალა თუ აქვს, ჩვენ რატომ გვებრძვის ჩვენი ერთი გოჯი მიწისთვის, წავიდეს და ყარაბაღი დაიბრუნოს.***

– ყველას თავისი ინტერესები აქვს. აზერბაიჯანი თვლის, რომ ამ ტერიტორიის დათმობას შეიძლება ალიევის პოლიტიკური რეჟიმი შეეწიროს. ყარაბაღს ვერ ვიბრუნებთ და ამ ტერიტორიასაც თუ საქართველოს მისცემს, შეიძლება ეს აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის გამოწვევა იყოს.

***– დავითგარეჯი და მიმდებარე ტერიტორია ჩვენია და რა უნდა მოგვცეს?***

– ჩვენ ჩვენი ვთქვათ და მათ თავისი. როცა ჩვენი ტერიტორიაა, ჩვენ ჩვენი ტერიტორია უნდა დავიცვათ. აზერბაიჯანულ მხარეს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი ტერიტორიაა და ყველა საშუალებით უნდა დავიბრუნოთ.

***– აზერბაიჯანის მეჯლისში ამ საკითხზე ბევრი უმსჯელიათ.***

– ცხადია, იქაც იქნებოდა მსჯელობა, ეს საკითხი ძალიან მწვავედ დგას. ჩვენ ჩვენი დოკუმენტები უნდა დავდოთ, მათ მათი და ვნახოთ.

***– ძალისმიერ გადაწყვეტას გამორიცხავთ?***

– გამორიცხული არაფერია.

# ლევან კობერიძე: „მე ვიფიქრებდი იმაზე, უნდა იყოს თუ არა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე“

– მე ვიფიქრებდი იმაზე, უნდა იყოს თუ არა, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე, – ამის შესახებ პარლამენტის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან კობერიძემ საკომიტეტო მოსმენის შემდეგ „კომერსანტთან“ განაცხადა. დღეს გამართულ კომიტეტის სხდომაზე საგანელიძის მისვლის საკითხი სწორედ ლევან კობერიძემ დააყენა. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, გიორგი ქობულიამ აღნიშნა, რომ საპარტნიორო ფონდი არაეფექტურად მუშაობს.



საპარლამენტო მოსმენაზე საგანელიძესა და კობერიძეს შორის მცირე სიტყვიერი დაპირისპირებაც მოხდა.

– ლევან, მამაშენის ტოლა ვარ, ხელი ჩაწიე, ისე ისაუბრე. ჩემთან საუბარი შენ მასე არ გამოგივა. არ შეიძლება მასე. მაშინ კი მახსოვს, დამირეკე, კვირიკაშვილი მთავაზობს პარლამენტში წასვლას და რას მეტყვიო, მაშინ კი მეკითხებოდი ჭკუას, – ამ სიტყვებით დავით საგანელიძემ ლევან კობერიძეს მიმართა.

კონფლიქტი დეპუტატის მიერ დასმულ კითხვებს მოჰყვა:

– ბოლო სამი წელი საპარტნიორო ფონდმა 700 მილიონამდე ზარალი ნახა. 2018 წელს ვთხოვე თქვენს აპარატს, რომ მიმეღო 2018 წლის მონაცემები, იმიტომ, რომ იმედი მქონდა, იქნებ იმ წლის ბოლოს მაინც ყოფილიყო მოგების ტენდენცია და ოპტიმიზმის საფუძველი, მაგრამ თქვენგან ეს მონაცემები არ მიმიღია. თქვენ რაც ახსენეთ, უკვე ნიშნავს, რომ 2018 წელსაც ზარალია. საპარტნიორო ფონდმა უნდა იცოდეთ მონაცემები, მოგება ნახეთ თუ ზარალი. ცოტა უხერხულია 2019 წელს ვისაუბროთ მხოლოდ 2017 წლის ციფრებზე. თქვენ ხართ საპარტნიორო ფონდი, 2018 წელს რა გქონდათ – მოგება თუ ზარალი ციფრებში, ეს არ იცით? თუნდაც სავარაუდოდ, მაშინ კარგად გვქონია საქმე, საერთოდ, რა ფონდზე ვსაუბრობთ, – აღნიშნა დამოუკიდებელმა დეპუტატმა სხდომაზე, როდესაც დავით საგანელიძეს საპარტნიორო ფონდის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე შეკითხვას უსვამდა.

– შემახსენეთ თქვენი განცხადებები, თუ თქვენ ოდესმე დაგიყენებიათ საკითხი მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოსთან ან მთავრობის სხდომაზე, რომ ან მენეჯმენტი უნდა შეიცვალოს სადმე იმ კომპანიებში, რომლებიც ზარალზე არიან, ან რამე სტრუქტურული ცვლილებები უნდა მოხდეს. ისე გამოგყავთ, რომ ეს თქვენი თემა არ არის, ვერ ერევით? ცოტათი გაუგებარია ეს პოზიცია. აქ ასე ვერ იქნება, თქვენ იმაზე ხართ პასუხისმგებელი, რაც გაქვთ. ვერ იქნება ისე, თითქოს „რკინიგზა ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ თან არ გვეკუთვნის“. რკინიგზა რომ ამოვიღოთ ან ელექტროსისტემა, შესაბამისად, მოგებაზე ვიქნებით. საპარტნიორო ფონდი იმისთვისაა, რომ თქვენ ეს რისკები გათვალოთ, მე ვთვლი, რომ ეს არაეფექტიანი გათვლაა. თუ ვერ იღებთ ამ გადაწყვეტილებებს, მაშინ უნდა გვითხრათ, რომ ვერ იღებთ ამ გადაწყვეტილებებს, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მიმართ ლევან კობერიძის შეკითხვა მოიცავდა სახელმწიფო საწარმოების კაპიტალის საკითხსაც. დეპუტატი დაინტერესდა სახელმწიფო საწარმოების მოგების ციფრობრივი მაჩვენებლებით და აღნიშნა, რომ ფონდს არ აქვს ჩამოყალიბებული სტრატეგია იმ სფეროებზე, რა მიმართულებითაც მუშაობს იგი.

– მეორე საკითხი – კარგი იქნება, თქვენი საწარმოების წილს თუ გვეტყვით. დაახლოებით 2017 წელს სახელმწიფოს საწარმოების კაპიტალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600 მილიონზე მეტი ლარით შეივსო, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. თქვენ სახელმწიფო ფულს უნდა იღებდეთ და მოგება უნდა მოგქონდეთ ქვეყნისთვის, ამის მაგივრად ბოლო 4 წელი მხოლოდ ზარალი გაქვთ. თქვენი პასუხისმგებლობაა, რომ სახელმწიფო აქტივები ისე მართოთ, რომ ამ ფონდმა მეტი ფული მოიტანოს. ცალკეულ პროექტებზე ეს ფონდი კარგია, მაგრამ მისი საქმიანობა ამით არ განისაზღვრება, ფონდის საქმიანობა არის მთლიანი საბოლოო შედეგი. მით უმეტეს, ძალიან მნიშვნელოვანია კარგად ვიცოდეთ ფონდის სტრატეგია რა არის, რა არის თქვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი? სად შედიხართ, ფარმაციაში, წარმოებაში? ფარმაცევტული პროექტისთვის 10 მილიონი გავიდა ფონდიდან, ეს თანხა დაბრუნდა, თუ არ დაბრუნდა, თუ დაბრუნდა კარგია, მაგრამ 4 წელიწადში მარტო ის 10 მილიონი დაბრუნდა უკან? ეს საკითხი მაინტერესებს.

თუ გაქვთ კონკრეტული ციფრები უახლოესი 5 წლის განმავლობაში სად იქნება თქვენი ფინანსური მონაცემები, რა გეგმა გაქვთ? იქნებ თვლით, რომ ეს ფონდი არასდროს იქნება მომგებიანი, მაშინ დააყენეთ საკითხი, თქვენი, როგორც აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა ესაა. ეს არის საკითხები, რომლებსაც გეკითხებით არა იმიტომ, რომ მხოლოდ საინვესტიციო ფონდის საქმიანობა მაინტერესებს, არამედ ეკონომიკაზე აისახება ეს ყველაფერი და თქვენი მოსაზრებები ციფრებით უნდა გაგვაცნოთ. საკმაოდ არაეფექტიანია ფონდის საქმიანობა 4 წლის განმავლობაში და თქვენ როგორ შეაფასებდით თქვენს საქმიანობას? – აღნიშნა დამოუკიდებელმა დეპუტატმა შეკითხვის დასმისას.

სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატმა განაცხადა, რომ მის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხები დავით საგანელიძემ მხოლოდ ნაწილობრივ გასცა, მისი გაოცება კი იმან გამოიწვია, რომ საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა საკუთარი საქმიანობა დადებითად შეაფასა.

– საგანელიძემ რაღაც ინოვაციური მოსაზრება წარმოადგინა, თითქოს ფონდის საქმიანობა ციფრებით არ იზომება და სხვა რაღაც განზომილებებში ითვლება. ციფრები გვეუბნება იმას, რომ 4 წლის განმავლობაში საგანელიძის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის დროს, ფონდის ზარალი შეადგენს დაახლოებით 700 მილიონ ლარს. 2018 წელს მოვითხოვე ინფორმაცია და მივიღე ნაწილობრივი პასუხი. როგორც აღმოჩნდა, იქაც ზარალი იყო. საპარტნიორო ფონდს სხვა არანაირი კრიტერიუმი არ აქვს, თუ არა ციფრები, ჩემთვის ეს არის ამოსავალი, დანარჩენი არის პირობითად ზღაპრები. თავისი საქმიანობა ბატონმა საგანელიძემ დადებითად შეაფასა, რაც გასაკვირია, მე ვიფიქრებდი იმაზე, უნდა იყოს თუ არა იგი ამ ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, – აცხადებს ლევან კობერიძე.

# საგანელიძე ქობულიაზე – „ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ მინახავს, მაგრამ მინისტრის პოზიციაზე მსგავსი უპასუხისმგებლო ადამიანი, არ მინახავს“

– ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ მინახავს, ბიზნესში გავიარე წლები, პარლამენტში ვიყავი, მაგრამ მინისტრის პოზიციაზე მსგავსი უპასუხისმგებლო ადამიანი, არ მინახავს, – ასე აფასებს დავით საგანელიძე გიორგი ქობულიას და საპარტნიორო ფონდის ურთიერთობას.

რაც შეეხება იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება ხდება გვიან – მე არ მიყვარს წასულ ადამიანებზე საუბარი, მაგრამ რადგან ეს კითხვა დამისვით, ვალდებული ვარ გიპასუხოთ. სადღაც 9 თვე იყო ბატონი გიორგი თანამდებობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, საპარტნიორო ფონდის საქმიანობა არც ერთხელ ყოფილა სამინისტროში განხილული. როგორც მოგეხსენებათ, ეკონომიკის სამინისტროა ჩვენი კურატორი, ამის გამო წერილობითაც მივმართეთ, შემიძლია წერილებიც განახოთ. მხოლოდ რამდენიმე ბორდის სხდომას დაესწრო ბატონი გიორგი და ის პრეტენზიები, რაც ჩვენ გვქონდა, მოისმინა. ბოლო ბორდის სხდომაზე კი, რომელიც იანვარში შედგა, ბიუჯეტი გვქონდა გატანილი, სადაც ჩამოწერილი იყო პროექტები, მაგრამ ქობულიამ გადახაზა ყველაფერი. შევეწინააღმდეგეთ, რადგან ზოგიერთი პროექტები დაწყებული გვქონდა, მან კი დაფინანსების გზები მოგვთხოვა. მაშინ ჩემი პოზიცია იყო საკმაოდ კატეგორიული. ფონდი არაეფექტური იქნებოდა, რადგან გადაწყვეტილების მიღება გვიანდებოდა. მაგალითად, პროექტთან დაკავშირებით ბორდზე მივიღეთ გადაწყვეტილება, პრემიერი დაგვეთანხმა, იურიდიულმა დეპარტამენტმა შეადგინა ოქმი, რომელზეც წევრებს უნდა მოეწერათ ხელი, როდესაც ხელმოწერა დაფიქსირდება, მე მაქვს უფლება გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს. ყველა ოქმს, რომელიც 2018 წლის აგვისტოდან ეკონომიკის სამინისტროში შევიდა, ხელი 2019 წლის თებერვალში მოეწერა. ერთ-ერთი პროექტი რუხის სავაჭრო ცენტრია. 7 თვის განმავლობაში 5 ლარის გარიცხვის საშუალება არ მქონდა. ვერც ერთი სტარტაპის პროექტი ვერ დავაფინანსე თვეების განმავლობაში, იმიტომ, რომ არ იყო ხელმოწერილი, – განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ საპარლამენტო მოსმენის დასრულების შემდეგ.



# „არასაბანკო დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა“

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2019 წლის პირველი მაისისათვის 23.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 14.1 მლნ ლარით, ანუ 0.1 პროცენტით მეტია პირველი აპრილისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით ნაკლები).




აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების შემცირებას 34.3 მლნ ლარით, ანუ 0.3 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.6 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები გაიზარდა 48.5 მლნ ლარით, ანუ 0.4 პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 0.2 პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის 38.27 პროცენტი შეადგინა. პირველი აპრილის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა 0.12 პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.21 პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა 5.5 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 7.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.9 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 84.4 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 14.1 პროცენტი შეადგინა.

BPN

# საპენსიო რეფორმის შედეგად ეკონომიკური ზრდა დაახლოებით 3–4%-ით დაჩქარდება

– საპენსიო რეფორმის შედეგად ეკონომიკური ზრდა სადღაც 3-4%-ით დაჩქარდება, – ამის შესახებ სახელმწიფო საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან სურგულაძემ პარლამენტში, სტუდენტებთან შეხვედრის დროს განაცხადა, სადაც რეფორმის მოკლე და გრძელვადიან სიკეთეებზე ისაუბრა.



სურგულაძე აცხადებს, რომ მათი გათვლებით, რეფორმის შედეგად კაპიტალის ბაზრის განვითარება გააჩენს შესაძლებლობას, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაჩქარდეს და ეს ზრდა უახლოეს 3-4 წელიწადში 3-4%-ის ფარგლებში იქნება.

– ჩვენ დაახლოებით 2 წელიწადში ველოდებით საპენსიო ფონდში მილიარდ ნახევარ ლარზე მეტს კონსერვატიული შეფასებით. 5-6 წელიწადში სადღაც 5 მილიარდამდე უნდა ავიდეს და დაგროვება უნდა გაგრძელდეს. ეს იქნება საინვესტიციო კაპიტალი, რომელიც გაჩნდება და ალტერნატიული გზებით ამ ფულის მომწოდებელი და მომხმარებელი დაუკავშირდება ერთმანეთს მრავალი არხებით და საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ვიდრე ამას აკეთებს კომერციული ბანკი, რომელიც დღეს არის ექსკლუზივი კავშირი კაპიტალის მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, აი ამ საინვესტიციო კაპიტალის არსებობამ და იმ მექანიზმმა, რომელსაც ამის არსებობა განავითარებს, რასაც ჰქვია კაპიტალია ბაზარი, საინვესტიციო ფინანსური ინსტრუმენტები, გამოჩნდება ბაზარზე. ეს განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკური ზრდა, ჩვენი შეფასებით, სადღაც 3-4%-ით დაჩქარდება.

ამ სიკეთეებს ჩვენ უახლოეს წლებში დავინახავთ, 3-4 წელიწადში უნდა გამოჩნდეს უკვე აი ეს სიკეთეები და შემდგომ გაგრძელდეს. ეს სიკეთე შეეხება ყველას, განურჩევლად იმისა, მონაწილეობს საპენსიო სქემაში თუ არ მონაწილეობს, – განაცხადა ლევან სურგულაძემ.

BMG

# კომერციული ბანკების მთლიანმა აქტივებმა 40.0 მლრდ ლარს მიაღწია

2019 წლის პირველი მაისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 14 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.




აპრილში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 590.2 მლნ ლარით, ანუ 1.5 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 1.3 პროცენტით) და 2019 წლის პირველი მაისისათვის 40.0 მლრდ ლარს მიაღწია.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 5.3 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.1 პროცენტია.

BMG

# ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორმა თანამდებობა დატოვა

„ჯორჯიან მანგანეზი“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს. ჭიათურაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორმა, აკაკი გურჯიძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ჯორჯიან მანგანეზის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

– ის სრულად იაზრებს არსებულ ვითარებას და აცხადებს, რომ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ყველაზე ოპტიმალური ნაბიჯია, – ნათქვამია განცხადებაში.

# ჯარისკაცებმა ალექსანდრე ჯანიაშვილმა, დავით კვიწინაძემ და გიორგი მუსელიანმა 2 ბავშვი სიკვდილს გადაარჩინეს



## რა მოხდა რუსთავში

26 მაისს რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, სამმა სამხედრო მომსახურემ, ხანძრის დროს, 2 მცირეწლოვანი ბავშვი გადაარჩინა.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ჯარისკაცები რუსთავში გასამართ ღონისძიებაზე მიდიოდნენ, როდესაც გზიდან შეამჩნიეს, რომ ფანჯრიდან კვამლი გამოდიოდა, ადგილზე მისულებს კი ბინაში ძლიერი ხანძარი დახვდათ.

იყო ინფორმაცია, რომ სახლში 2 მცირეწლოვანი იმყოფებოდა, მეზობლების თქმით, ბავშვების მამა გარეთ იყო და სახლში ვერ შედიოდა.

ხანძართან ერთად იყო ძლიერი დაკვამლიანება, ოთახში შესვლას ვერავინ ბედავდა, მაგრამ სამმა ჯარისკაცმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ოთახში შეაღწია და 2 მცირეწლოვანი ალმოკიდებული სახლიდან გამოიყვანა.

მაღალი დაკვამლიანების შედეგად სამხედროებმა მძიმე ინტოქსიკაცია მიიღეს. ერთ-ერთი მათგანი ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი, ხოლო ორს კლინიკა „რუსთავში“ შესაბამისი სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა.

კლინიკა „რუსთავის“ გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის მორიგე ექიმმა მანანა გაბაშვილმა განაცხადა:

– კლინიკაში შემოყვანილია ორი ჯარისკაცი. შემოყვანისას ორივე უჩიოდა თავბრუსხვევას, ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელებას. გაიარეს ტოქსიკოლოგის კონსულტაცია. ამჟამად მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, მიმდინარეობს დაკვირვება.

„ინფო რუსთავმა“ 2 სამხედროს სახელი და გვარი გაარკვია, ესენი არიან: 26 წლის დავით კვიწინაძე და 34 წლის ალექსანდრე ჯანიაშვილი, მესამე ჯარისკაცი, რომელიც შედარებით მძიმედ იყო და ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს, გიორგი მუსელიანია.

ალექსანდრე ჯანიაშვილი რუსთაველია.

ხანძარი მეგობრობის გამზირზე საცხოვრებელი კორპუსის მესამე სართულზე, 26 მაისს, დილის საათებში გაჩნდა.

# იაგო ნებიერიძეს 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა



გუშინ, 27 მაისს, გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში ბრალდებული იაგო ნებიერიძე სასამართლომ დამნაშავედ ცნო. მას სასამართლომ უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლევან დარბაიძემ გამოაცხადა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, იაგო ნებიერიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის, ასევე სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენაში.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე საბოლოო სიტყვით ისარგებლა თავად ბრალდებულმა ნებიერიძემ. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ დანაშაულში უდანაშაულოა და ის დანაშაულის შეუტყობინებლობაში უნდა ცნონ დამნაშავედ.

– მისი ხელით არც ერთ სხვა ბავშვს საფრთხე აღარ ემუქრება, – ამის შესახებ ნანიკო ბერიაშვილის მამამ, მიშა ბერიაშვილმა განაცხადა.

გარდაცვლილის ბაბუის, ხვიჩა ბერიაშვილის თქმით, ბრალდებული ან უნდა გამოეშვათ, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეფარდებინათ.

– იდეალური გადაწყვეტილებაა. ჩვენს შვილს უკვე არაფერი ეშველება, მაგრამ გვინდოდა, რომ, ღმერთმა დაიფაროს, სხვა ბავშვი აღარ დაჩაგრულიყო და სხვას აღარ ეტირა, – განაცხადა ხვიჩა ბერიაშვილმა.

9 წლის გოგონას დედამ, ნათია ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ ოჯახი ამ განაჩენს ელოდებოდა.

– შემამსუბუქებელი ვერაფერი იქნება, მაგრამ ეს იყო, რასაც ველოდებოდით, – განაცხადა ლალიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილი 25 ოქტომბერს გაუჩინარდა. ის რამდენიმე საათში სამართალდამცველებმა გარდაცვლილი იპოვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, 33 წლის, წარსულში ნასამართლევი იაგო ნებიერიძე დააკავეს.

# ზესტაფონში დაშავებული რკინიგზელი მ.ბ. საავადმყოფოში გარდაიცვალა



გუშინ, 27 მაისს, ზესტაფონში მომხდარი საწარმოო შემთხვევის შედეგად დაშავებული რკინიგზელი მ.ბ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ზესტაფონში რკინიგზის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის საწყობში 2 მუშა დაშავდა.

ხიდებისა და გვირაბების ბრიგადირს (მ.ნ.) და მჭედელს (მ.ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რელსები დაეცათ, გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა დასაწყობებული მასალების ჩამოშლას მოჰყვა.

ორივე დაშავებული პირი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმე იყო და მას ოპერაცია უტარდებოდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო სამშენებლო და სხვა სამუშაოების დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.




# თბილისში უზნაძის ქუჩაზე მამაკაცმა თავი მოიკლა

თბილისში უზნაძის ქუჩაზე მამაკაცმა თავი მოიკლა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავები. შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტები მუშაობდნენ.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით არის დაწყებული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ლაგოდეხის ნაკრძალში სკოლა ალბიონის მე-11 კლასელი სოფია ნიკოლეიშვილი დაიღუპა

## დირექტორი ტრაგედიის დეტალებს ყვება




26 მაისს ლაგოდეხის ნაკრძალში უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა სკოლა „ალბიონის“ მე-11 კლასის მოსწავლე, 16 წლის სოფია ნიკოლეიშვილი.

როგორც სკოლის დირექტორი ბადრი ჯავახიშვილი ამბობს, გოგონას ფეხი ხავსიან ქვაზე აუსრიალდა და ადიდებულ მდინარეში ჩავარდა. მაშველების მისვლამდე მისი გადარჩენა სკოლის მასწავლებელმა სცადა, თუმცა მდინარე იმდენად ძლიერად მოედინებოდა, რომ მასწავლებელი ქვებს მიაჯახა.

– გვაქვს მითითება განათლების სამინისტროდან, სადაც წერია, რომ ტრანსპორტი უნდა იყოს გამართული, ანუ ტექდათვალიერება უნდა ჰქონდეს გავლილი. აქვე დავძენ, რომ ეს ტრანსპორტი სკოლისაა და მას ერთი თვით ადრე ჩავუტარეთ ტექდათვალიერება. უნდა ჰქონდეს ბავშვების აღმნიშვნელი ნიშანი და ექიმი.

მე გავაყოლე ფიზკულტურის მასწავლებელი, ისტორიის მასწავლებელი, დამრიგებელი და ექიმი. 17 მოსწავლე იყო სულ. რომ შეუდგნენ აღმართს, სადაც მდინარე ჩამოდის, ჩანჩქერს ქვევით, ეს გოგონა შეხტა დიდ ქვაზე, რომელიც ხავსიანი იყო, დაუცურდა ფეხი და გადაეშვა.

ფიზკულტურის მასწავლებელმა თოკი იშოვა, მოიბა წელზე და გადაეშვა მდინარეში, მაგრამ ისეთი სწრაფი დინება იყო, რომ მიაჯახა ერთ ქვას, მეორე ქვას და იძულებულები იყვნენ, ამოეწიათ უკან, – ამბობს დირექტორი.

მისი თქმით, საავადმყოფოშია გადაყვანილი კლასის დამრიგებელი.

# გურამიშვილზე, კინო საქართველოსთან, სატვირთო მანქანა „სუფთა სახლში“ შევარდა



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გუშინ, 27 მაისს, გურამიშვილის ქუჩაზე – კინო საქართველოსთან მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების შეჯახების შედეგად, სატვირთო ავტომობილი მაღაზია „სუფთა სახლის“ ვიტრინას დაეჯახა.

შემთხვევის შედეგად, მაღაზიაში არავინ დაშავებულა, თუმცა მსუბუქი დაზიანება მიიღეს ტროტუარზე მყოფმა სამმა ადამიანმა. ისინი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა, საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში „რუსთავი 2“-ს განუცხადეს, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# სენაკში რძის გადამამუშავებელი საწარმო გაქურდეს




სენაკში რძის გადამამუშავებელი საწარმო გაქურდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საწარმოს დირექტორმა ნონა ქადარიამ განუცხადა, შენობიდან 16 ათას ლარზე მეტი ღირებულების ინვენტარია გატანილი.

მისივე თქმით, შემთხვევა სავარაუდოდ რამდენიმე დღის წინ მოხდა. ასევე დაზიანებულია ინვენტარი.

– რისი წაღებაც ვერ მოასწრეს, ადგილზეა განადგურებული. გადაჭრილია მილები, არ ვმუშაობდით ეს დღეები, რადგან HACCP სისტემა უნდა დაგვენერგა და მაგისთვის ვემზადებოდით. ფაქტი, სავარაუდოდ, იმ კვირას მოხდა. წინასწარი მონაცემებით, 16 ათას ლარს აღემატება ზარალი, – განაცხადა ქადარიამ.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე პოლიციამ უკვე დაკითხა რამდენიმე ადამიანი.

შს სამინისტროში აცხადებენ, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. უწყების ცნობით, სამართალდამცველები აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

# მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს



გუშინ, 27 მაისს, თბილისში, მტკვარში, ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

# ქუთაისთან 2 სამგზავრო მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა



ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ორი სამგზავრო მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

ავარიის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო და სამაშველო სამსახურები იმყოფებოდნენ. საპატრულო პოლიცია მომხდარზე მოკვლევას აწარმოებს.

# ევროპარლამენტის არჩევნებში პუტინის მეგობრებმა ვერ გაიმარჯვეს

ევროპარლამენტის არჩევნებს წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსული მედია ულტრამემარცხენეებისა და ევროსკეპტიკოსების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. პუტინმა მთელი თავისი აგენტურა აამოქმედა და უამრავი ფული დახარჯა, რათა მართლა ასე მომხდარიყო.

ევროპარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა გერმანელებსა და ფრანგებს აქვთ. ამიტომ ამ ქვეყნებში ჩატარებულ არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

გერმანიაში ევროოპტიმისტებმა გაიმარჯვეს. ყველაზე მეტი ხმა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიან-სოციალისტური კავშირის კოალიციამ მიიღო. მას მხარი 28%-მა დაუჭირა. ეს ნაკლებია, ვიდრე წინა არჩევნებისას. 2014 წელს მათ 35% მიიღეს. მეორეზე კოალიცია „კავშირი 90“ და მწვანეები გავიდნენ. სოციალ– დემოკრატიული პარტია 15%-ით მესამეზეა. მემარჯვენე-პოპულისტურმა პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“, რომელიც გერმანიის ევროკავშირიდან გასვლასა და რუსეთთან მეგობრობას მოითხოვს, 10,5% მიიღო.

საფრანგეთში ყველაზე მეტი მხარდაჭერა მარინ ლე პენის ნაციონალურმა გაერთიანებამ მიიღო – 24%. მეორეზეა პრეზიდენტ მაკრონის „წინ რესპუბლიკა“ – 22%; მესამეზე მწვანეები – 13%.



იტალიაში წარმატებას მიაღწია სალვინის მემარჯვენე-პოპულისტურმა „ლიგამ“, რომელიც პრორუსული პოზიციებიდან გამოდის. ინგლისში კი ბრექსიტის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

ევროპარლამენტში ყველაზე მეტი ადგილი ევროპის სახალხო პარტიას ექნება – 173. მეორეზეა დემოკრატებისა და სოციალისტების პროგრესული ალიანსი – 147. მაკრონის ორგანიზაციასა და ლიბერალ-დემოკრატების მოძრაობას 71 ადგილი ერგოთ, საფრანგეთისა და იტალიის მემარჯვენე-პოპულისტურ ძალებს ანუ პუტინის მეგობრებს – 57 ადგილი. ეს მეტია, ვიდრე წინა არჩევნებისას, მაგრამ რაიმე უმრავლესობაზე საუბარი არ შეიძლება.

ევროპარლამენტის არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ერთიანი ევროპის იდეა და ევროფასეულობები კვლავაც პოპულარულია. პროგნოზი, რომ მემარჯვენე-პოპულისტები წარმატებას მიაღწევენ, რაც ევროკავშირის ერთიანობას საფრთხეს შეუქმნის, არ გამართლდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მწვანეებისა და ლიბერალების წარმატება. ეს განსაკუთრებით ახალი უმრავლესობის ფორმირებაზე აისახება.

სავარაუდოდ, ახალი უმრავლესობა სახალხო პარტიისა და მწვანეთა ალიანსის იქნება.

## ლიეტუვას ახალი პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა გახდება



ლიეტუვაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ცენტრალური ბანკის ბორდის ყოფილი წევრი, ეკონომისტი გიტანას ნაუსედა 74%-ით იმარჯვებს.

ნაუსედას მეტოქემ, ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა ინგრიდა შიმონიტეამ 26% მოაგროვა.

პირველ ტურში, რომელიც 12 მაისს გაიმართა, შიმონიტეამ ამომრჩეველთა ხმების 31,13% მიიღო, ლიეტუვური ბანკის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა გიტანას ნაუსედამ – 30,94%. მან პირობა დადო, რომ მოქმედი პრეზიდენტის კურსს განაგრძობს.

ლიეტუვის საპრეზიდენტო არჩევნებში არ მონაწილეობს ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, რადგან ის ორი ვადით უკვე აირჩიეს და მესამედ კენჭისყრის უფლება აღარ აქვს.

## ტრამპი იაპონიის იმპერატორს შეხვდა



გრძელდება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ოთხდღიანი ვიზიტი იაპონიაში. ტრამპი იმპერატორ ნარუჰიტოს შეხვდა.

ტრამპი პირველი უცხოელი ლიდერია, რომელიც იაპონიის იმპერატორს შეხვდა.

სტუმრის პატივსაცემად ნარუჰიტომ ბანკეტი გამართა. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-იაპონიის მეგობრობა ურყევია.



## საბერძნეთში ვადამდელი არჩევნები გაიმართება

საბერძნეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. მიზეზი ევროპარლამენტის არჩევნებში მმართველი პარტიის „სირიზას“ მარცხია.

სავარაუდოდ, პრემიერი ციპრასი მოსახლეობას მიმართავს და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თარიღის შესახებ აცნობებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## 14 წლის ვუნდერკინდმა ორი სამეცნიერო ხარისხი მიიღო



აშშ-ში 14 წლის მოზარდმა მაგისტრის ხარისხი მიიღო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

კელტონ კოსტისი ნებრასკას შტატის ბელვიუს უნივერსიტეტში ცხრა წლის ასაკში მოეწყო. 12 წლისა ვებ-ტექნოლოგიის სპეციალობის ბაკალავრი გახდა, ხოლო შემდეგ საინფორმაციო მენეჯმენტის სამაგისტრო დისერტაცია დაიცვა.

ვუნდერკინდმა აღიარა, რომ გარშემო მყოფნი გაოცებას ვერ მალავენ, როდესაც მისი მიღწევების შესახებ იგებენ.

ამჟამად კოსტისი ისვენებს, თავისუფალ დროს მას სპორტში ვარჯიში და ცურვა უყვარს. ის ასევე კიდევ ერთი მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მიღებაზე ფიქრობს.

## კეიტ მიდლტონმა დედოფალს აკოცა და პროტოკოლი დაარღვია



კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონი დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-თვის ლოყაზე კოცნის გამო პროტოკოლის დარღვევაში ამხილეს.

სამეფო ოჯახის წევრები ერთმანეთს Chelsea Flower Show-ის ღონისძიების დროს მიესალმნენ, მას შემდეგ, რაც პრინცი უილიამი და კეიტ მიდლტონი პროგრამის ოფიციალური ნაწილის შესაფერისად გამოეწყნენ. დედოფალმა აღნიშნა, რომ ისინი ელეგანტურად გამოიყურებოდნენ, შემდეგ კი ორივეს აკოცა.

სამეფო ოჯახის თაყვანისმცემლები ამტკიცებენ, რომ კემბრიჯის ჰერცოგებმა სამეფო პროტოკოლი დაარღვიეს. თუმცა ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, „ნაკლებად ფორმალურ“ ღონისძიებებზე ნათესავები ხშირად კოცნიან დედოფალ ელისაბედ II-ს ლოყაზე, რაც წესებით არ იკრძალება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შეიძინეთ წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საბურთალომ სავარაუდო მეტოქეები შეიტყო




ჩემპიონთა ლიგის 2019-20 წლების სეზონის დაწყებამდე თვეზე ნაკლები რჩება. საქართველოს ჩემპიონი, საბურთალო, ტურნირში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება და განუთესავი იქნება. უკვე ცნობილია თბილისელთა ყველა სავარაუდო მეტოქის ვინაობა:

სელტიკი (შოტლანდია); ბატე (ბელორუსი); ასტანა (ყაზახეთი); ლუდოგორეცი (ბულგარეთი); ყარაბაღი (აზერბაიჯანი); მარიბორი (სლოვენია); ცრვენა ზვეზდა (სერბეთი); შერიფი (მოლდოვა); როსენბორგი (ნორვეგია); ჰიკი (ფინეთი); დუდელანჟი (ლუქსემბურგი); შკენდია (ჩრდ. მაკედონია); ნიუ სეინტსი (უელსი); სლოვანი (სლოვაკეთი); აიკი (შვედეთი);

ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 18 ივნისს, შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩატარდება. მატჩები კი 9-10 ივლისს გაიმართება.

# მგზავრები ბრინჯაოს მედალს დაეუფლა



**მგზავრები-დინამო 75:65**

(17:17, 26:13, 20:20, 12:15)

სუპერლიგის 2018-19 წლების სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი საკალათბურთო კლუბი მგზავრები გახდა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა შარშანდელი შედეგი გაიმეორა: წინა სეზონის „ბრინჯაოს“ მატჩში მგზავრებმა რუსთავი დაამარცხა, წლეულს კი შარშანდელ სუპერლიგის გამარჯვებულ დინამოს აჯობა და კვლავ საპრიზო ადგილზე გავიდა.

მე-3 ადგილისთვის მატჩი ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა და ის დინამოელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. მერაბ ბოქოლიშვილის, დემაგოი ბუბალოსა და მიხეილ ჭოჭუას ქულებით ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი გუნდი 10:0 დაწინაურდა, თუმცა მგზავრებმა თამაში მალევე გადააწყო, დაცვა გაამაგრა და კონტრშეტევებზე გადავიდა. სწრაფ თამაშში მგზავრებს სუპერლიგაში თითქმის ვერავინ სჯობს – ბერიშვილის გუნდს თუ წაუვიდა, სწრაფი გარღვევებით მყისიერ შედეგს აღწევს და ასე იყო ამჯერადაც. ანგარიში 15:15-ზე გათანაბრდა, ხოლო პირველი პერიოდი 17:17 დასრულდა.

მეორე ათწუთეულიდან თანაბარი თამაში გაჩაღდა, თუმცა პერიოდის დასკვნით 2 წუთში მგზავრებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვეს. ადრიან ბოუის, კახა ჯინჭარაძისა და სოსო გოგნაძის შედეგიანობით ანგარიშში სხვაობამ 10 ქულას მიაღწია, ხოლო დიდ შესვენებამდე ორიოდ წამით ადრე გიორგი ქავთარაძემ შედეგიანი გარღვევა ზუსტი ბონუს-საჯარიმოთი დააგვირგვინა და მგზავრებმა ტაიმი 43:30 მოიგეს.

შესვენების შემდეგ თამაშის სცენარი არ შეცვლილა. დინამომ მგზავრების დაცვას გასაღები ვერ მოუნახა და დარჩენილი დრო ისე გაილია, ვითარება არ დაძაბულა. ბუბა ბერიშვილის გუნდი დამაჯერებლად, ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდა გამარჯვებამდე და სუპერლიგის მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

გამარჯვებულებს 21 ქულითა და 8 პასით ადრიან ბოუიმ ულიდერა. 12 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა სოსო გოგნაძემ, რომელმაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. 11 ქულა რევაზ ჩაჩანიძემ, ხოლო 10 – კახა ჯინჭარაძემ მოაგროვა. დინამოში 18 ქულითა და 10 მოხსნით დემაგოი ბუბალო გამოირჩა, 17 ქულა მიხეილ ჭოჭუას ანგარიშზეა.

მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოებაზე მგზავრების კალათბურთელებსა და მწვრთნელებს ბრინჯაოს მედლები და შესაბამისი სიგელი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ, ზაზა ლონღაძემ გადასცა.

# ბასილაშვილი როლან გაროსს პირველივე წრეში დაემშვიდობა



საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა საფრანგეთის ღია პირველობაზე გამოსვლა სტარტზევე დაასრულა. 27 წლის ჩოგბურთელი, რომელიც როლან გაროსის ვაჟთა ტურნირში კარიერაში პირველად მოხვდა განთესილთა შორის (მე-15 ნომრად), პირველ წრეში არგენტინელ ხუან იგნასიო ლონდეროს (78) დაუპირისპირდა და უშანსოდ, 3 სეტში დამარცხდა – 4:6, 1:6, 3:6.

ბასილაშვილი და ლონდერო ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდნენ. შეხვედრა საათსა და 29 წუთს გაგრძელდა. ანგარიშიდან ისე ჩანს, რომ ბრძოლა პირველ და მე-3 სეტში შედგა. თუმცა, არა – არგენტინელმა ძალიან იოლად მოიგო.

ნიკამ 2 ეისი და ერთი ბრეიკ-პოინტი მიითვალა, თავის მოწოდებაზე კი ოთხჯერ შეცდა. თიხნარის სპეციალისტად აღირებულმა არგენტინელმა 8 ეისი მოაწოდა და 6 ბრეიკ-პოინტის რეალიზება შეძლო, დაუშვა 4 ორმაგი შეცდომა.

ნიკამ საფრანგეთის ღია პირველობაზე შარშანაც წარუმატებლად იასპარეზა და მაშინაც პირველ წრეში მასპინძელ ჟილ სიმონთან 4 სეტში დამარცხდა.

# მე-16 ტური ორ დღედ გაიყო

**28 მაისი**

**ტორპედო-დილა**

**წყალტუბო. 26 მაისი**

ქუთაისი ტორპედო დაწინაურებულ ლიდერებს 5 ქულით ჩამორჩება და თუ რამზე პრეტენზია აქვს, ეს სხვაობა არ უნდა გაზარდოს. საამისოდ კი, დილა უნდა დაამარცხოს, სხვა მხრივ მეტოქეები გაექცევიან. თუმცა, სადღეისოდ რიონისპირელებს არ ულხინთ და ვერავინ იტყვის, რომ დილასთან იოლი გასეირნება ექნებათ.

ქულები დილას სჭირდება. გორელებს არცთუ დალხენილი სატურნირო მდგომარეობა აქვთ. ფლეი აუტის ზონასთან წითელ ხაზში ტრიალებენ. თუმცა, დილა ის გუნდია, სიუპრიზების მოწყობა რომ შეუძლია...

**რუსთავი-დინამო (თბ)**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

3-მატჩიანი წაგება სერია დინამომ წინა ტურში შეწყვიტა. ამასთან, უშუალო მეტოქესთან და გუნება გამოიკეთა. დედაქალაქელებს რუსთავთანაც მოგება აქვთ დაგეგმილი და ამაში გასაკვირი არაფერია – დინამო კლასით, საშემსრულებლო ოსტატობითა და ფეხბურთელების კრებულით ბევრად აღემატება მეტოქეს და ფავორიტიც არის.

რუსთავი პირველი წრის მერე განწირული მოჩანდა, მაგრამ გამოჩნდა ვარლამ კილასონია და გუნდს სიცოცხლისუნარიანობა დაუბრუნა. მისი ხელმძღვანელობით ქვემოქართლელებმა რამდენიმე კარგი მატჩი ჩაატარეს და ქულებიც მოიხვეჭეს, მაგრამ დღეს გაუჭირდებათ...

**საბურთალო-ვიტ ჯორჯია**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

საბურთალო ლიდერია და არც ამ ტურის შემდეგ უნდა დათმოს პოზიცია. ვიტ ჯორჯიას საკადრო პრობლემები აქვს. ყველაფერი იქით მიდის, რომ ვეტერინარების ბედი სეზონის ბოლომდე გაირკვევა.

არც სეზონის მიმდინარეობისას წყვეტდა ვიტ ჯორჯია ვარსკვლავებს, ხოლო მას შემდეგ, რაც გუნდის 5 ფეხბურთელი სპორტული შედეგებით მანიპულირების ბრალდებით დააკავეს, ელიტას დაემშვიდობება.

საბურთალოს კი განსხვავებული ამბიცია აქვს და არც დღეს უნდა გაუჭირდეს 3 ქულის აღება.

**29 მაისი**

**ლოკომოტივი-ჩიხურა**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

ეს ყველაზე საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. ორივე გუნდი სატურნირო ცხრილში ერთმანეთის სიახლოვეს არის. მართალია მათ შორის სხვაობა 5 ქულაა, მაგრამ თუ ლოკომოტივი მოიგებს, 2 ქულაღა დარჩება, ეს კი ერთი მოგებაა.

ლოკომოტივს მასპინძლის უპირატესობაც არ ექნება, რადგან ჩიხურაც იმავე სტადიონზე არანაკლებ ხშირად თამაშობს. ასე რომ, გამოკვეთილი ფავორიტი არ ჩანს. თუმცა, თუ წინა შეხვედრებს გადავავლებთ თვალს, ლოკომოტივს უფრო უადვილდება ჩიხურასთან თამაში.

**დინამო (ბთ)-სიონი**

**ბათუმი. ანგისა**

სიონი უცნაური გუნდია. არასტაბილური. შეუძლია ერთი თამაში კარგად ითამაშოს და მოულოდნელი შედეგი დადოს, რასაც არანაკლებ მოულოდნელი წაგება მიაყოლოს.



გარდა ამისა, ბოლნისელები დანაკლისით ესტუმრებიან ზღვისპირეთს – წინა ტურში ვილი ისიანი და დავით თარგამაძე გაუძევეს.

ბათუმი კი შინაურ კედლებში ძალიან კარგად ირჯება, მაყურებლის მხარდაჭერაც აქვს. ანგისას ბაზაზე ქულების მოპოვება ლიდერებს უჭირთ, ამიტომ სიონს რთული თამაში ელის.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 15 | 10 | 1 | 4 | 31-22 | 31 |
| 2.დინამო (ბთ) | 15 | 10 | 1 | 4 | 24-15 | 31 |
| 3.ტორპედო | 15 | 8 | 2 | 5 | 25-20 | 26 |
| 4.დინამო (თბ) | 15 | 7 | 2 | 6 | 27-19 | 23 |
| 5.ჩიხურა | 15 | 5 | 7 | 3 | 21-13 | 22 |
| 6.სიონი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-33 | 21 |
| 7.დილა | 15 | 5 | 3 | 7 | 13-14 | 18 |
| 8.ლოკომოტივი | 15 | 6 | 0 | 9 | 20-22 | 18 |
| 9.რუსთავი | 15 | 2 | 5 | 8 | 17-29 | 11 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 15 | 3 | 2 | 10 | 7-19 | 11 |

# ქართველები ესპანურ ფლეი ოფში გავიდნენ, შენგელიამ რამდენიმე პრიზი მიიღო



ესპანეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონი დასრულდა და ფლეი ოფში 2 ქართველის და ერთი საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის გუნდები გავიდნენ. თორნიკე შენგელია (ბასკონია), გიორგი შერმადინი (უნიკახა) და თად მაკფადენი (ხუვენტუტი) მეოთხედფინალში ითამაშებენ და თითოეული მაქსიმუმის მიღწევას ეცდება.

ამ სამეულში რეგულარულ ჩემპიონატში ყველაზე მაღალი – მე-3 ადგილი შენგელიას ბასკონიამ დაიკავა. ბოლო ტურში ბასკონიელები ვალენსიას ესტუმრნენ და 81:92 წააგეს, შენგელია კი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 25 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

თოკომ 7-დან 5 ორქულიანი და სამქულიანი ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა. შედეგად, ქართველი მძიმე ფორვარდის სარგებლიანობის კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა და ის სტუმართა რიგებში მხოლოდ იოჰანეს ვოიგტმანსა და ლუკა ვილდოზას ჩამორჩა.

საინტერესოა, რომ შენგელიამ სეზონის საშუალო სარგებლიანობის კოეფიციენტად 18.2 დააფიქსირა, რაც ლიგის საუკეთესო მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ბასკონიას ქართველ კაპიტანს ტრავმების გამო სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა, თუმცა, შთამბეჭდავი გარჯის გამოისობით, ის ერთბაშად კიდევ 2 აღიარებას მაინც გამორჩა.

პირველ რიგში, სათქმელია, რომ თოკო ლიგა ენდესას ყველაზე ეფექტურ კალათბურთელად დაასახელეს. აღნიშნული პრიზი მას გადაეცემა, ვისი თამაშიც ყველაზე თვალსასეიროდ მიიჩნევა.

შეგახსენებთ, რომ ყოველი ტურის შემდეგ, ესპანეთში ტოპ-შვიდეულს ადგენენ, სადაც ეპიზოდები შენგელიას მონაწილეობით ყველაზე ხშირად ხვდებოდა.

საბოლოოდ, თორნიკემ 34 ქულა მოაგროვა და მცირედით გაუსწრო რეჯი აპშოუს (33, ანდორა), ნიკო ლაპროვიტოლასა (32, ხუვენტუტი) და სემ ოკოიეს (31, სარაგოსა).

ეფექტური კალათბურთელის პრიზის გასულ მფლობელთა ნუსხა კი ასე გამოიყურება:

მარკუს ჰეისლიპი (2008-09), რიკი რუბიო (2009-10), მარკუს სლოტერი (2010-11), ლატავიუს უილიამსი (2011-12, 2014-15), რუდი ფერნანდესი (2012-13), სერხიო როდრიგესი (2013-14), ტომაშ სატორანსკი (2015-16), ფაკუნდო კამპაცო (2016-17), კრისტიან ეიენგა (2017-18).

ამას გარდა, შენგელია რეგულარული სეზონის მე-2 სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა, სადაც მის გარდა ტომა ერტელი (ბარსელონა), ხავიერ ბეირანი (ტენერიფე), ხაიმე ფერნანდესი (უნიკახა) და ვინსენ პუარე (ბასკონია) შეიყვანეს.

ეს გასაკვირი ნამდვილად არ ყოფილა, რადგანაც თორნიკე სარგებლიანობის კოეფიციენტის (18.2) მიხედვით ლიგაში პირველ ადგილზე იმყოფება, მეორეა საშუალოდ ჩაგდებული ორქულიანების (4.55) მიხედვით და მეცხრეა საშუალოდ ქულებში (13.5). ამასთან, მას ზურგს პირველივე ტურისა და ოქტომბრის უძვირფასესი მოთამაშის (მვპ) ტიტულიც უმაგრებს.

რაც შეეხება თავად ბასკონიას, საბოლოოდ, 26 მოგებითა და 8 მარცხით მე-3 ადგილი დაიკავა და ფლეი ოფის მეოთხედფინალში სარაგოსას გაეჯიბრება.

21 გამარჯვებითა და 13 წაგებით რეგულარული პირველობა მე-5 პოზიციაზე დაასრულა უნიკახამ, რომელიც ფლეი ოფში ვალენსიას დაუპირისპირდება.

ბოლო ტურში მალაგელები შერმადინის ყოფილ კლუბ ანდორას დაუხ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**26 მაისი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალმერია-ალკორკონი ..................... 0:0
ხიმნასტიკი-ელჩე ......................... 3:3
ტენერიფე-ოვიედო ....................... 2:1
გრანადა-კადისი .......................... 1:1
ესტრემადურა-ლუგო ..................... 0:0

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ლაციო ........................... 3:1
სამპდორია-იუვენტუსი .................. 2:0
ატალანტა-სასუოლო ..................... 3:1
ინტერი-ემპოლი ........................... 2:1
კალიარი-უდინეზე ......................... 1:2
რომა-პარმა ................................. 2:1
სპალი-მილანი ............................. 2:3
ფიორენტინა-ჯენოა ...................... 0:0

**სატურნირო ცხრილი;**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 38 | 28 | 6 | 4 | 70-30 | 90 |
| 2.ნაპოლი | 38 | 24 | 7 | 7 | 74-36 | 79 |
| 3.ატალანტა | 38 | 20 | 9 | 9 | 77-46 | 69 |
| 4.ინტერი | 38 | 20 | 9 | 9 | 57-33 | 69 |
| 5.მილანი | 38 | 19 | 11 | 8 | 55-36 | 68 |
| 6.რომა | 38 | 18 | 12 | 8 | 66-48 | 66 |
| 7.ტორინო | 38 | 16 | 15 | 7 | 52-37 | 63 |
| 8.ლაციო | 38 | 18 | 8 | 13 | 56-46 | 59 |
| 9.სამპდორია | 38 | 15 | 8 | 15 | 60-51 | 53 |
| 10.ბოლონია | 38 | 11 | 11 | 16 | 48-56 | 44 |
| 11.სასუოლო | 38 | 9 | 16 | 13 | 53-60 | 43 |
| 12.უდინეზე | 38 | 11 | 10 | 17 | 40-53 | 43 |
| 13.სპალი | 38 | 11 | 9 | 18 | 44-56 | 42 |
| 14.ფიორენტინა | 38 | 8 | 17 | 13 | 47-45 | 41 |
| 15.კალიარი | 38 | 10 | 11 | 17 | 36-54 | 41 |
| 16.პარმა | 38 | 10 | 11 | 17 | 41-61 | 41 |
| 17.ჯენოა | 38 | 8 | 14 | 16 | 39-57 | 38 |
| 18.ემპოლი | 38 | 10 | 8 | 20 | 51-70 | 38 |
| 19.ფროზინონე | 38 | 5 | 10 | 23 | 29-69 | 25 |
| 20.კიევო | 38 | 2 | 14 | 22 | 25-75 | 17 |

**შენიშვნა:** კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ვერონა ........................... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ანჟი-ურალი ................................. 0:2
ახმატი-როსტოვი .......................... 1:0
დინამო-არსენალი ........................ 3:3
ზენიტი-ენისეი ............................. 4:1
კრასნოდარი-რუბინი ..................... 1:0
ლოკომოტივი-უფა ........................ 1:0
ორენბურგი-სპარტაკი ................... 2:0
ცსკა-კრილია ............................... 6:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-შტურმი ............... 2:1
ლინცერი-აუსტრია ........................ 5:2
ზალცბურგი-სტ.პოლენი ................ 7:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-შარლერუა ................. 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-ანკარაგიუჯიუ ............. 2:1
მალათია-ბურსა ........................... 1:2
ქაიერი-ერზრუმი .......................... 0:2
ფენერბახჩე-ანთალია ................... 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-ბანიკი ............................. 1:1
სლავია-სპარტა ............................ 2:1
იაბლონეცი-ლიბერეცი .................. 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-რანდერსი ....................... 1:1
დიურგარდენი-ესტერსტუნდი ....... 3:1
კალმარი-ელფსბორგი .................. 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიონდალენი-ჰაუგესუნდი ............ 1:4
რანჰეიმი-სტრომგოდსეტი ........... 1:0
ტრომსო-მიოლდე ........................ 2:1
ბრანი-რუსენბორგი ...................... 0:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ვაასა ....................... 1:0
ჰიკი-კვპ ...................................... 3:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

2019, 28 მაისი, №124

# ქართველები ესპანურ ფლეი ოფში გავიდნენ, შენგელიამ რამდენიმე პრიზი მიიღო

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ვდნენ 72:66 იმარჯვეს. ქართველი ცენტრი სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და 13 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა. შერმადინმა 4-დან 3 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა.

ფლეი ოფში ბარსელონასთან ჭიდილი მოუწევს მაკფადენის ხუვენტუტს, რომელმაც ბოლო ტურში ესტუდიანტესს 86:78 მოუგო და ტურნირი 18 მოგებითა და 16 მარცხით მე-7 ადგილზე დაასრულა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა მოედანზე 12 წუთი გაატარა და 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თადმა 2-დან 1 ორქულიანი გამოიყენა, ბურთი 2-ჯერ დაკარგა.

ფლეი ოფი 30 მაისიდან დაიწყება – მეოთხედფინალური სერია 2 მოგებამდეა, ხოლო ნახევარფინალი და ფინალი 3-ამდე იქნება.

სამწუხაროდ, ბექა ბურჯანაძის გიპუზკოამ უმაღლესი ლიგა დატოვა. სანსებასტიანელები ბოლო, ბოლო ტურში მადრიდის რეალს მასპინძლობდნენ და გამარჯვების შემთხვევაში ლიგაში რჩებოდნენ. გიპუზკოამ ვერაფერი მოუხერხა ესპანეთისა და ევროპის გრანდს და 75:96 წააგო. შესაბამისად, ბურჯანაძის გუნდმა ბოლოსწინა, მე-17 ადგილი დაიკავა და მომავალ სეზონში ქვედა ლიგაში იასპარეზებს.

სეზონის ბოლო მატჩში ბურჯანაძემ კარგად ითამაშა. ის საკუთარ გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო. ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და მოედანზე გატარებულ არასრულ 30 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ბექამ 3-დან 2 ორქულიანი და 8-დან 3 სამქულიანი ჩააგო. ქართველი ფორვარდის სარგებლიანობის ინდექსმა სანსებასტიანელთაგან ყველაზე მეტი – 19 შეადგინა.

რეგულარული ჩემპიონატის 34 მატჩიდან გიპუზკოამ მხოლოდ 10 მოიგო და ლიგაში დარჩენილ, მე-17 ადგილზე გასულ ესტუდიანტესს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა.

# პოდიუმზე ობოლი ბავშვების გამოსვლა ბაზარში მონების გამოსვლას შეადარეს

ბრაზილიის გაშვილების სააგენტომ ობოლი ბავშვების გამოსვლა-ჩვენება მოაწყო მათი პოტენციური მშობლებისთვის.

ბავშვების ჩვენება მატუ-გროსუს შტატის ქალაქ კუიაბაში მოეწყო. სავაჭრო ცენტრში მოწყობილ პოდიუმზე რიგრიგობით 18 ბავშვი გამოვიდა. გაშვილების მომლოდინეთა ასაკი ოთხიდან 17 წლამდე იყო. მათ სანახავად 200-მდე ადამიანი იყო მისული. ამ ჩვენებამ ბევრ ადგილობრივ მცხოვრებში აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან მათ ჩათვალეს, რომ ღონისძიების ორგანიზატორების დამოკიდებულება ობლების მიმართ იყო როგორც ცხოველების ან მონების მიმართ.

– ჩვენება მოეწყო იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ბავშვის აყვანას გეგმავენ. ცდილობდნენ ბავშვები საუკეთესო მხრივ წარმოეჩინათ. ეჩვენებინათ, ისინი რამდენად ლამაზები და კეთილმეგობრულები იყვნენ. ამან პირადად მე აფრიკელი მონების ბაზარი გამახსენა, სადაც ადამიანებს მათი სხეულითა და კბილების მდგომარეობით აფასებდნენ, – განაცხადა ღონისძიების კომენტირებისას ადგილობრივმა მცხოვრებმა ედუარდო მახონმა.




ბრაზილიის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის გილერმე ბულოსის თქმით, ამგვარმა ღონისძიებამ შესაძლოა ბავშვის ფსიქიკა დააზიანოს, მიუხედავად ღონისძიების ორგანიზატორების კეთილი განზრახვისა.

– ჩვენ სერიოზული კომპანია ვართ და ბავშვების გრძნობებზე თამაშით არ ვართ დაკავებულები, – განაცხადეს კომპანიაში, – ყველა ეს ბავშვი არაერთხელ ვაჩვენეთ ბავშვის აყვანის მსურველებს, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არავინ იშვილა.

# რობენი კვლავ თამაშს აპირებს, რიბერი ფიქრობს

მიუნხენის ბაიერნის ვეტერანი ფეხბურთელი არიენ რობენი გერმანულ კლუბს ემშვიდობება. თუმცა, როგორც ირკვევა, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღია. რობენის განცხადებით, მას კვლავ სურს ფეხბურთის თამაში და ახალი გამოწვევების მისაღებად მზად არის.

**არიენ რობენი:**

– ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ და კარიერის გაგრძელებას ვაპირებ. კვლავინდებურად მხიბლავს ფეხბურთის თამაში. შემდეგი კვირის განმავლობაში გამოვიტან საჭირო დასკვნებს და მივიღებ გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა ვაკეთო სამომავლოდ. განვლილმა შეხვედრებმა დიდი ძალა და ენერგია წაიღო. არა მხოლოდ ფიზიკური თვალსაზრისით, არამედ მორალურადაც. გარკვეული დრო უბრალოდ გამოფიტული ვიყავი. მიუხედავად ამისა, მე მოვახერხე და შევივსე ენერგეტიკული მარაგი, საკუთარი თავი ხელში ავიყვანე და ლამაზ ფინალშიც ვიასპარეზე. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ასე აეწყო.

საკუთარ მომავალთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ფრანკ რიბერიმაც:

– არ ვიცი რის გაკეთებას ვაპირებ. კონკრეტული გეგმა არ გამაჩნია. მაქვს რამდენიმე ვარიანტი კარიერის გასაგრძელებლად და ამის თაობაზე ფიქრი მმართებს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სერხიო რამოსს ჩინეთში ეპატიჟებიან

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა შესაძლოა მადრიდის რეალი დატოვოს და სათამაშოდ ჩინეთში წავიდეს.



რამოსმა უკვე სთხოვა რეალის ხელმძღვანელობას მისი გაშვება, თუმცა უარი მიიღო. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რომელი ჩინური გუნდები არიან რამოსით დაინტერესებულნი, მაგრამ ყველასთვის ცნობილია, რომ ჩინეთში ძალიან ბევრი ფული ტრიალებს და ფეხბურთელები იქ გადასვლაზე ხშირად უარს არ ამბობენ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ყველაზე მაღალანაზღაურებადმა სექს-მუშაკმა საკუთარ პროფესიაზე ისაუბრა



ამერიკის ნევადას შტატის ქალაქ კარსონ-სიტის მკვიდრმა ქალბატონმა ბორდელში მუშაობის თაობაზე ისაუბრა.

27 წლის ელის ლიტლმა აღიარა, რომ დიდხანს ეძებდა საინტერესო პროფესიას, რომელიც ხალხთან ურთიერთობაში დაეხმარებოდა. 2016 წელს მან გადაწყვიტა მუშაობა ბორდელ Moonlite Bunny Ranch-ში დაეწყო. სექს-მუშაკის კარიერამ ისე გაიტაცა, რომ იქ დღემდე რჩება.

წარმოშობით ირლანდიელი გოგონა ამტკიცებს, რომ ადამიანებს პრობლემებთან გამკლავებაში ეხმარება, მაგალითად, ქორწინებაში ინტიმური ცხოვრების გადარჩენაში. მის თერაპიული სექსუალური მომსახურებები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს და მისი ფასი ორი ათასი დოლარიდან იწყება.

– წყვილებში მუშაობა მიყვარს, ვინაიდან მათ შორის უკვე არსებობს კავშირი. ვცდილობ მათი ურთიერთობა გავაწონასწორო და ნაპრალები ამოვავსო, – აცხადებს ლიტლი.

მისი თქმით, Moonlite Bunny Ranch-ში მომუშავე ყოველი მეძავი საკუთარ თავზე მუშაობს და შეუძლია საკუთარი პირობები და ფასები დააწესოს. დაწესებულება თავისი სექს-მუშაკებისგან მათი გამომუშავების ნახევარს იღებს.

ირლანდიელი გოგონა საკუთარ თავს საპიოსექსუალურს უწოდებს – ადამიანს, რომელიც განვითარებულ ინტელექტს სექსუალურად უფრო მიმზიდველ თვისებად მიიჩნევს.

ლიტლი ამტკიცებს, რომ გამოიმუშავებს გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე ამერიკის ბორდელების ნებისმიერი სექს-მუშაკი. მისი თქმით, ელიტური მეძავები წელიწადში 400-დან 700 ათას დოლარამდე იღებენ.

– მე კი პრაქტიკულად ორჯერ მეტს გამოვიმუშავებ, – აღიარა ლიტლმა.


# მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.**

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.


# ბიჭმა შეყვარებული ხელში აიყვანა და თავი საავადმყოფოში ამოჰყო

ჩინეთის პროვინცია ხუბეის ქალაქ უხანის მკვიდრმა შეყვარებული ხელში აიყვანა, რის შემდეგაც მოტეხილობითა და მყესების დაზიანებით საავადმყოფოში აღმოჩნდა.

წყვილი არაოფიციალურ ჩინურ დღესასწაულს – ყველა შეყვარებულის დღეს აღნიშნავდა. 20 წლის ყმაწვილი გრძნობებმა აიყოლია და თავისი 65 კილოგრამიანი შეყვარებული ჰაერში აწია. ამ დროს მან მსხვრევის ხმა გაიგონა და მარჯვენა ხელში მწვავე ტკივილი იგრძნო.

შეშფოთებულმა წყვილმა სასწრაფოდ საავადმყოფოს მიაკითხა, სადაც ექიმებმა ყმაწვილს ხელის მოტეხილობა და მყესების დაწყვეტა დაუდგინეს. მას ოპერაცია სჭირდება. ექიმის აზრით, ასეთი დაზიანება ახალგაზრდა მამაკაცის სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ გამოიწვია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 28 მაისისთვის



**ვერძი** – იაქტიურეთ. გაგიმართლებთ ყველა სფეროში, განსაკუთრებით – პროფესიონალურში. წარმატებული იქნება კომერციული ოპერაციები. **კურო** – მშვიდი დღეა, რომელიც გპირდებათ ურთიერთობების არეალის გაფართოებას, ცოდნის შეძენას, ახალი ინფორმაციის მიღებას, რომელსაც თქვენ სასარგებლოდ წარმატებით გამოიყენებთ. **ტყუპები** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ გადაიღლებით. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. დროა, ოჯახური ურთიერთობები ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში იმარჯვებთ. იაზროვნეთ პოზიტიურად, რათა შედეგიც პოზიტიური მიიღოთ. **ქალწული** – ოჯახში ჰარმონიული ურთიერთობა ისადგურებს. გიუმჯობესდებათ ფინანსური მდგომარეობა. შესაძლოა, ახალი სამსახურიც იშოვოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა. მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები ძირფესვიანად შეგეცვლებათ. **ღრიანკალი** – დღეს მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. შესაძლოა, ცხოვრების სტილი რადიკალურად შეიცვალოთ. **მშვილდოსანი** – ოჯახში ჩხუბსა და აყალმაყალს ერიდეთ. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. მიენდეთ ინტუიციას. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ინტიმურ სფეროში. გადაწყვეტილება თამამად მიიღეთ. **მერწყული** – გელით საინტერესო შეხვედრა. მიღებული ინფორმაცია გაგახარებთ და რწმენით აღგავსებთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. ზომიერების დაცვა არ დაგავიწყდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენის გამო; 14. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 16. ქართული ნაციონალური კერძი; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 4. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 7. გამცემლობა, ვერაგობა, ორგულობა; 8. პროვინციის მმართველი სპარსეთში, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. იაპონელი მოდელიორი; 21. საავტომობილო ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქიმერა; 7. რენეგატი; 8. რასტრი; 10. პორშე; 11. შამპინიონი; 13. ჰონორარი; 16. ბადაგი; 19. ოპტიმუმი; 20. ჩემპიონი.

**შვეულად:** 1. მირანდა; 2. არარა; 3. მედისონი; 4. აგათონი; 5. ფიუზელაჟი; 9. მაიორი; 12. მარტინი; 14. ორესტე; 15. რიფი; 17. გრემი; 18. გორი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სკაიპი; 2. ონი; 3. კაბირია; 4. ტიბრი; 5. კარბონადო; 6. ბირჟა; 7. ნუკრი; 8. კრუიზი; 9. რაკიჩი; 10. კარმა; 11. ატრიბუტი; 12. ტეტ; 13. პარმეზანი; 14. პანთერა; 15. პართენონი; 16. ერა; 17. ეივე; 18. რუ; 19. ამნისტია; 20. ანდრე; 21. იმპერია; 22. დრონტი; 23. რაპირა; 24. კაშპერლე; 25. მადამ; 26. ემუ; 27. უმი; 28. სეანსი; 29. როსება; 30. ულაყი; 31. ნატრიუმი.

**სურათებზე:** რენატა სორა; აარომ რამზი.

# გიორგი როსტიაშვილი „რანინას“ გამარჯვებული გახდა



მომღერალი გიორგი როსტიაშვილი მუსიკალური შოუს „რანინას“ მეორე სეზონის გამარჯვებული გახდა.

„რანინას“ ფინალი ღია ცის ქვეშ ვარდების მოედანზე გაიმართა და მასში შოუს მეორე სეზონის სამი ფინალისტი გიორგი როსტიაშვილი, ანა ბერიშვილი და ანასტასია გარსევანიშვილი მონაწილეობდნენ.

მესამე ადგილი ანასტასია გარსევანიშვილმა დაიკავა, მეორე ადგილზე ანა ბერიშვილი გავიდა, ხოლო გიორგი როსტიაშვილს კი შოუს მთავარი პრიზი გადაეცა. გიორგი საქართველოს წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე წარადგენს.

„რანინას“ ფინალში იმღერა პირველი სეზონის გამარჯვებულმა თამარ ედილაშვილმა. გიორგი გამარჯვება ორივე სეზონის მონაწილეებმა მიულოცეს.

მუსიკალური შოუს მონაწილეებმა დათო ევგენიძის მიერ „რანინასთვის“ დაწერილი ჰიმნი შეასრულეს.

მუსიკალური შოუს ფინალური კონცერტი პიანისტ დავით ალადაშვილს და მსახიობ ლელა მებურიშვილს მიჰყავდათ. კონცერტს კი მუსიკალურად დავით მაზანაშვილის ბენდი აფორმებდა.

# ალექსანდრე ზაზარაშვილმა უკრაინული „ვოისის“ ჟიური აატირა



მომღერალმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა, რომელიც არაერთი საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის თუ ფესტივალის გამარჯვებულია, უკრაინული საბავშვო „ვოისის“ ჟიური აატირა.

მუსიკალური შოუს მეხუთე სეზონში ქართველმა მომღერალმა ბრმა მოსმენაზე სელინ დიონის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა, ჟიურის ყველა წევრი შემოაბრუნა და მათი აცრემლებაც შეძლო.

ალექსანდრემ ჟიურის თხოვნით ქართული სიმღერა „ლალეც“ შეასრულა და მქუხარე აპლოდისმენტები და ხანგრძლივი ოვაციები დაიმსახურა.

ალექსანდრე სოფელ რუისიდან არის და მას ქართველ რობერტინო ლორეტის ეძახიან. 12 წლის მომღერალი პირველად „ნიჭიერში“ გაიცნეს, მოგვიანებით კი „რანინას“ პირველ სეზონშიც მონაწილეობდა.

# ბუბა კუდავა: „ტაო-კლარჯეთში 700 ეკლესიაა“



ისტორიკოსი ბუბა კუდავა ირწმუნება, რომ ტაო-კლარჯეთში 700 ეკლესიაა:

– თქვენი აზრით, რამდენი ეკლესიაა ტაო-კლარჯეთში? ხშირად ვეკითხები ხოლმე ხალხს.

20, 25, 30... ვინც ძალიან ზოგადად იცნობს რეგიონს, ძირითადად ამ რაოდენობას ასახელებს ხოლმე.

რეალური რაოდენობა კი ყველას აოცებს ხოლმე: 700!

დიახ, დღევანდელი მონაცემებით, ტაო-კლარჯეთში 700-მდე ეკლესიაა. ამ რაოდენობაში იგულისხმება როგორც შემორჩენილი ნაგებობები, ისე ნანგრევები, ნაეკლესიარები, აგრეთვე შემთხვევები, როცა ეკლესიის არსებობის შესახებ გვაქვს ინფორმაცია წერილობითი თუ ზეპირი, მაგრამ ზუსტი ადგილის ლოკალიზება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ეს რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება.

ამის დასტურია ახალ-ახალი მონაცემები, რომლებიც დროდადრო ჩნდება ხოლმე.

ამის დასტურია ეს სიახლეც, მორიგი ნაეკლესიარი, რომელსაც შარშან მივაკვლიეთ.

ტაო. პარხლის ხეობა. სოფელი, თემი პარხალი. უბანი ჭილვანა. ნაეკლესიარ ადგილას აღარაფერია დარჩენილი. კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები მახლობლადაა მიმოფანტული.

კლდეზე კი დაუშენებიათ, მაგრამ მაინც ვერ გაუძლია მუხთალი დროისთვის.

ჭილვანა... რა კაი სახელია.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრში მულტიმედიური სპექტაკლის პრემიერა გაიმართება



ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერაა. თეატრის დიდ სცენაზე 28 მაისს ახალი თაობის მაყურებლისთვის წარმოდგენილი იქნება მულტიმედიური სპექტაკლი „ოდისეა“, რომელშიც ანიმაციისა და კინოს ხერხებია გაერთიანებული.

წარმოდგენას ლიტერატურულ საფუძვლად ბავშვებისთვის ადაპტირებული მითოლოგია უდევს. სპექტაკლში მაყურებელი შეხვდება ისეთ მითოლოგიურ გმირებს, როგორებიც არიან ზევსი, ჰერა, ჰერმესი, პოსეიდონი, იანუსი, აფროდიტე, პენელოპე, ტელემაქე...

თეატრალური პროექტის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია ავთანდილ დიასამიძე, მხატვარი ლანა ყავრელიშვილი, მუსიკალური გაფორმება გიორგი კობერიძის, მულტიპლიკაციის რეჟისორი პეტრე თომაძე, მულტიპლიკატორები კი გიორგი გორელაშვილი, თამარ კოჩალიძე, არსენ ოქრუაშვილი არიან.

საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობენ ხატია მელქაძე, იოანა ნავაძე, ვახტანგ ნოზაძე და ნიკა ფაიქრიძე. პერსონაჟებს კი ახმოვანებენ ხატია მელქაძე, ეკატერინე შარიქაძე, მარიამ ხუხუნაიშვილი, ავთანდილ დიასამიძე, ვანო დუგლაძე, რატი ნავაძე, ვახტანგ ნოზაძე და ნიკა ფაიქრიძე.

# თბილისის სომხური თეატრისთვის 18 მილიონი ლარი დაიხარჯება



თბილისში სომხური თეატრი თავიდან შენდება და ამისთვის 18 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ინფორმაცია ამის შესახებ მსახიობმა ბესო ზანგურმა გაავრცელა:

– შეიძლება ითქვას, რომ სომხური თეატრი თავიდან შენდება. შენობა ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ რეაბილიტაციას არ ექვემდებარებოდა. პროექტს ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, ფონდი „ქართუ“ ახორციელებს, რაც დედაქალაქისთვის კიდევ ერთი საჩუქარი იქნება. მივესალმები ასეთი პროექტების განხორციელებას და მინდა, ფონდ „ქართუს“ თანამშრომლობისთვის მადლობა გადავუხადო. ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ თანამშრომლობს დედაქალაქის მუნიციპალიტეტი და საქველმოქმედო ფონდი. მადლობა ბიძინა ივანიშვილს, ასეთ მნიშვნელოვან პროექტებს რომ აფინანსებს.

თუ არ ვცდები, მთელი ქვეყნის მასშტაბით, „ქართუს“ 900-მდე ძეგლის რესტავრაცია აქვს განხორციელებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ქველმოქმედების მოცულობას, დაახლოებით, 3 მილიარდ ლარს შეადგენს. მისასალმებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება გრძელდება.

2020 წლისთვის სომხური თეატრის მშენებლობა დასრულდება და ავლაბარში კიდევ ერთი მიზიდულობის ცენტრი შეიქმნება.

სამუშაოების ფარგლებში, ძველი შენობის სრული დემონტაჟი უკვე განხორციელდა და ნულოვანი ციკლი დასრულდა. ასევე, შენობის მთელ პერიმეტრზე მოეწყო დრენაჟი. პროექტის მიხედვით, თეატრის შენობა გაყოფილია ორ ნაწილად, სცენის ნაწილი და დარბაზი. ამ ეტაპზე, ორივე ნაწილზე რკინა-ბეტონის კარკასის აწყობა მიმდინარეობს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017 წლის პროექტის მიხედვით, შენობის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა, თუმცა საძირკვლისა და კედლების გაშიშვლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო, რაც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნამაც დაადასტურა. აქედან გამომდინარე, შემუშავდა ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც, 6.403 კვ.მ ფართობის სრულიად ახალი შენობის აგება დაიგეგმა. ახალი შენობა ჯამში, 607 მაყურებელზეა გათვლილი.

პროექტის საერთო საპროგნოზო ღირებულება 18 მილიონ ლარს შეადგენს. სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები სრულად 2020 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

# საჩუქრით უკმაყოფილო პატარძალმა სტუმარს ფულის გადახდა მოსთხოვა



ხარბმა პატარძალმა სტუმარს, რომლის საჩუქრითაც ის უკმაყოფილო დარჩა, მეტი ფულის გადახდა მოსთხოვა. ქორწილში დაპატიჟების ისტორია ბრიტანელმა ქალბატონმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ინტერნეტ-მომხმარებელმა სეიი აკივოვომ დაწერა, რომ კოლეგამ ის რუმინეთში ქორწილში მიიწვია. ის იქ მეგობართან ერთად გაემგზავრა და მგზავრობისა და იქ ცხოვრების ხარჯები თავადვე გადაიხადა. აკივოვოს თქმით, ცერემონიამ შესანიშნავად ჩაიარა, ყველაფერი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, ხოლო სტუმრებს ჩანთები დაურიგეს საჩუქრებით. მიწვევაში სიძე და პატარძალი სტუმრებს სთხოვდნენ, რომ მათთვის ფული ეჩუქებინათ, ვინაიდან მათ ნივთების სახლში თრევა არ სურდათ.

აკივოვომ და მისმა მეგობარმა ადგილზე ვერ იპოვეს ბანკომატი და ამიტომ წყვილს ნაღდი ფულის სახით 25 ევრო აჩუქეს, რაც იმ დროს ხელზე გააჩნდათ, ხოლო აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე გოგონებმა გადაწყვიტეს, რომ წყვილს კიდევ რაიმე საჩუქარს უყიდიდნენ.

ლონდონში დაბრუნების შემდეგ აკივოვომ პატარძლისგან შეტყობინება მიიღო. „ვგონებ მოგეწონა ჩვენი ქორწილი, თუმცა ეს არ ასახულა ღონისძიებაში დახარჯული ჩვენი ხარჯების დასაფარავად შენს მიერ გაღებულ თანხაში. საშუალოდ სტუმრები 100 ევროს გვჩუქნიდნენ, თუმცა 75 ევროც საკმარისი იქნებოდა საჭმელ-სასმელისა და იჯარის გადასახადის დასაფარად“ – ეწერა პატარძლის მიერ გაგზავნილ წერილში. ის აკივოვოსა და მის მეგობარს მისთვის ბარათზე კიდევ 100 ევროს ჩარიცხვას სთხოვდა.

ბრიტანელმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ ის „ვალების შემგროვებელთან“ აღარ მეგობრობს, თუმცა იცის, რომ ის ისევ გათხოვილია და ახლახან ბავშვიც ეყოლა.

# სამგლოვიარო განცხადებები

სოსო ფაცაცია, ლევან ქოიავა, რაჟდენ ხელაია, ზურაბ კაჭარავა, რუსუდან ბუკია, ნათელა ჩაჩავა, როიზა ბუაძე, ფიქრია კუტალია, ზოია ღვინჯილია, ქეთინო კვარაცხელია იუწყებიან თანაკლასელის

**როზა გრიგოლის ასულ კაკულიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სასადილოში შევარდნილმა ტახმა იქ მყოფები შეაშინა

ჩინეთის ჩჟეცზიანის პროვინციის ქალაქ ნინბოში ტახი ქარხნის სასადილოში შეიჭრა და იქ მყოფი მუშები შეაშინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, რომ ხალხით სავსე სასადილოში ერთ-ერთი მამაკაცი, რომელსაც ხელში სინი უჭირავს, შესასვლელისკენ იყურება და შემდეგ საწინააღმდეგო მხარეს გარბის, მას უკან მიყვებიან ლურჯ პერანგებში გამოწყობილი სხვა თანამშრომლები. ვიდეორგოლის შემდეგ კადრებში ჩანს, რომ შენობაში შემორბის ტახი, რომელიც, გზად რაც კი შეხვდება, ყველაფერს აყირავებს. გარეული ცხოველი მაგიდის ქვეშ ჩერდება და იატაკზე დავარდნილ საკვებს შეექცევა, სანამ შეშინებული ადამიანები აქეთ-იქით გარბიან.

– ადამიანების ყვირილის ხმა გავიგონე და ვიფიქრე, რომ ვილაცები კამათობდნენ. მივედი და გარეული ტახი დავინახე, – იხსენებს ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, – გავიქეცი და სხვებსაც დავუძახე, რომ გაქცეულიყვნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტახი სასადილოში სათადარიგო შესასვლელიდან შევარდა, შემდეგ ფანჯრიდან ცადა გასვლა, მაგრამ იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ვერ გაეტია. მოგვიანებით ცხოველმა მაინც გამოაღწია სასადილოდან. გზად ფერმერთა ჯგუფს გადაეყარა, მათ თავს დაესხა და ერთ-ერთი მათგანი დააშავა. ამ თავდასხმის შედეგად ტახი მოკლეს, ხოლო დაშავებულ მამაკაცს საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7811 |
| ევრო | 3.1129 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5275 |
| 100 რუსული რუბლი | 4.594 |

**ამინდის პროგნოზი 28 მაისისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**28 მაისიდან**

მარკ ტვენი

**ტომ სოიერის თავგადასავალი**




**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

**21 მაისიდან**

ძმები გრიმები

**ზღაპრები**




**ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი**

**30 მაისიდან**

**დიდი ქართველი მეფეები**




**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი

პაპამ შენიშნა, რომ სკოლიდან დაბრუნებულ შვილიშვილს ცალი თითი უცნაურად გაშეშებული უჭირავს და ეკითხება:

– რა დაგემართა, შვილო?

– ქიმიის გაკვეთილზე ცდას ვატარებდით და თითზე რაღაც სითხე გადამესხა, იმის შემდეგ გამიშეშდა და ველარ ვხრი.

– შვილო, თუ ხვალ იმ სითხეს მომიტან, დილით შენი ბალიშის ქვეშ ხუთ ლარს იპოვი.

მეორე დღეს შვილიშვილმა პაპას სითხე მიუტანა, დილით გაღვიძებულმა კი ბალიშის ქვეშ 25 ლარი იპოვა. ბავშვი პაპასთან მივიდა და ეკითხება:

– პაპა, შენ ხუთ ლარს დამპირდი და 25 ლარი რატომ დამხვდა?

– 20 ლარი ბებიაშენმა დაგიმატა!

•••

დიდი ხნის უნახავი ქალები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორია სოფელში ცხოვრება?

– კარგი. ქმარს ვუყვარვარ. ის კი არა, შეშის ატანაც კი არ მიწევს ოთახში, ისინი ჩემკენ თავისით მოფრინავენ...

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– მოდი, სექსზე ვითამაშოთ!

– როგორ?

– თუ მოგიგებ, შენთან დავწვები!

– და თუ მე მოგიგებ?

– მაშინ შენ დაწვები ჩემთან!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ვალვერდეს ბედი ზაფხულში გადაწყდება

ბარსელონა ესპანეთის თასის ფინალშიც დამარცხდა და შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელებისთვის სეზონი არცთუ წარმატებული აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგეს.

ბევრი გულშემატკივარი ერნესტო ვალვერდეს მუშაობით უკმაყოფილოა და მის გაშვებას ითხოვს. ბარსელონა ჯერჯერობით არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას.

ვალვერდეს ბედი ივნისის შუა რიცხვებში გადაწყდება. ვალვერდემ, კონტრაქტის თანახმად, ბარსელონაში კიდევ ერთი წელი უნდა იმუშაოს.

## ჯენარო გატუზო: „ჩემპიონთა ლიგაში ვერგასვლა დიდი წარუმატებლობაა“




მილანი იტალიის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მომავალ წელს ევროპის ლიგაზე ითამაშებს, ჩემპიონთა ლიგაში კი ინტერი გავიდა.

გატუზოს აზრით, ეს დიდი წარუმატებლობაა და მილანმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს:

– ბოლო 6 თვეა, ცუდად მეძინა, რადგან მუდამ იმაზე ვფიქრობდი, ჩემპიონთა ლიგაში გავიდოდით თუ არა. ეს ჩვენთვის ძალიან ცუდი შედეგია, რადგან ლიგაში გასვლა ჰაერივით გვჭირდებოდა. შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, რომ მომავალ წელს იგივე არ განმეორდეს.

## სადიო მანე: „ბარსელონასთან მოგებით კლოპიც კი გავაკვირვეთ“



ლივერპულის ერთ-ერთმა ლიდერმა სადიო მანემ განაცხადა, რომ ბარსელონასთან „ქამბექი“ ბოლომდე არც იურგენ კლოპს სჯეროდა. მანეს თქმით, კლოპი თითქმის შეგუებული იყო გავარდნას, მაგრამ თავის ფეხბურთელებს მაინც ბოლომდე ბრძოლისკენ მოუწოდებდა:

– კლოპმა გვითხრა, რომ გავსულიყავით და გვებრძოლა, მაგრამ ვატყობდი, რომ მას არ სჯეროდა იმის, რომ ფინალში გავიდოდით. თამაშის მერე ყველანი უზომოდ ბედნიერები ვიყავით, მაგრამ წინ ფინალია, სადაც აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

## ნ'გოლო კანტე ევროპის ლიგის ფინალს გამოტოვებს




ჩელსის ევროპის ლიგის ფინალში საყრდენი ნახევარმცველი ნ'გოლო კანტე დააკლდება, რომელმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის ტრავმა მიიღო.

ეს ტრავმა კანტეს ადრეც აწუხებდა, თუმცა მაშინ მან მოახერხა გამოჯანმრთელება, ამჯერად კი კანტეს რამდენიმე კვირა მოუწევს დასვენება.

კანტეს არყოფნა ჩელსისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება, რადგან ფრანგი ნახევარმცველი ჩელსის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

ფინალი 29 მაისს ბაქოში გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. თავდავიწყებამდე მისული უკიდურესი აღფრთოვანება, აღტყინება; 2. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 3. საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 7. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 11. პატარა ქირურგიული დანა; 13. გულში ნადები ბოღმა, შური; 15. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. ქალაქის თვითმმართველობა; 18. მომკილი ხორბლის უთავთავო ღეროები; 19. უმცროსი მატროსი გემზე.

**თარაზულად:** 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. მარნეულის ძველი სახელწოდება; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 17. ეკონომიკის დაქვეითება, კრიზისი; 20. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 21. ქართული რადიო; 22. ულრანი, ტროპიკული ტყე; 23. სახელმწიფო შუა აზიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


ფუ ფანგ დან შენ პიან
Fu fang dan Shen pian



გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

მაი ვეი დი ჰუანგ ვან
Mai vei di huang van



ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

ნონ გონ იუენ ძ ვან
Nuan gong yun zi wan



ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან
Xiao qe wan + liu vei di huang wan



არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates
sugar levels
in blood

ჩუან სიონ ჩა თიაო ვან
Huan xiong cha tiao wan



თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill,
weakness

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/